ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

დავით ქათამაძე, ბადრი გეჩბაია

თურქეთის ეკონომიკა

(ლექციების კურსი)

ბათუმი 2015

სარჩევი

შესავალი ---------- 3

თემა 1. თურქეთის რესპუბლიკის ზოგადი დახასიათება ----------
თემა 2. თურქეთის განვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები ----------
თემა 3. თურქეთის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა --------
თემა 4. თურქეთის სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ევოლუცია ----------
თემა 5. თურქეთის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა ----------
თემა 6. თურქეთის მრეწველობა ----------
თემა 7. თურქეთის სოფლის მეურნეობა ----------
თემა 8. თურქეთის ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა --------
თემა 9. თურქეთის ენერგეტიკული სისტემა ----------
თემა 10. თურქეთის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ----------
თემა 11. თურქეთის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ----------
თემა 12. თურქეთის შრომის ბაზარი ----------
თემა 13. თურქეთის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება და ქვეყნის საერთო კონკურენტუნარიანობა ----------
თემა 14. თურქეთის საგარეო ეკონომიკური კავშირები და საგარეო ვაჭრობა -----
თემა 15. თურქეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებები და მარცხის მიზეზები ----------

დასკვნა ----------
გამოყენებული ლიტერატურა ----------

თემა 1. თურქეთის რესპუბლიკის ზოგადი დახასიათება

I. 1. თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკური განლაგება

თურქეთი საპარლამენტო-წარმომადგენლობითი დემოკრატიის მქონე რესპუბლიკაა, რომლის ტერიტორიის ფართობიც, ტბების ჩათვლით, შეადგენს 783,562 კვ. კმ., რითაც იგი 37-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში. მათ შორის წყალს უკავია მთელი ტერიტორიის 1,3%. ამ ქვეყნის ტერიტორიიდან 755,688 კვ. კმ. აზიაში მდებარეობს, ხოლო 23,764 კვ. კმ. – ევროპაში. თურქეთის ევროპული ნაწილი ქმნის საზღვრებს საბერძნეთთან და ბულგარეთთან. ქვეყნის აზიური ნაწილი ძირითადად მაღალი ცენტრალური პლატოსაგან შედგება ვიწრო სანაპირო დაბლობებით, ქოროღლუსა და აღმოსავლეთ შავი ზღვის მთათა ქედებით ჩრდილოეთში და ტავრის მთებით – სამხრეთით. თურქეთის ტერიტორიის სიგრძე 1600 კმ-ია, ხოლო სიგანე კი – 800 კმ. თურქეთი, ფართობის მიხედვით, დაახლოებით საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიების ჯამის ტოლია.

თურქეთში ცხოვრობს 78 მლნ ადამიანი, რითაც იგი 17-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში. მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით, ერთ კვ. კმ.-ზე მოდის 95,5 ადამიანი, რითაც იგი 102-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში. ამ ქვეყნის დედაქალაქია ანკარა, ხოლო უდიდესი ქალაქი კი არის სტამბოლი. მისი ოფიციალური ენაა თურქული. ამ ქვეყნის კოდია TUR, ხოლო სატელეფონო კოდი კი – 90. თურქეთის დევიზია "მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში", ხოლო მისი ჰიმნი კი არის „დამოუკიდებლობის მარში".

თურქეთის სახელი „Türkiye" თურქულ ენაზე შეიძლება შეიძლება დაიყოს ორ სიტყვად: Türk, რაც ძველ თურქულ ენაზე ნიშნავს „ძლიერს" და ზოგადად აღნიშნავს თურქეთის მცხოვრებს, ან თურქ ხალხთა წარმომადგენელს. იგი „თუქინ"-ის გვიანდელი ფორმაა, რომელიც ჩინელებმა შეარქვეს ცენტრალური აზიის ალთაის მთების სამხრეთით მცხოვრებ ხალხს (ძვ. წ. აღრ. 177 წლისათვის). აბსტრაქციული სუფიქსი –iye წარმოებულია არაბული ბოლოსართის – -iyya-საგან. იგი ასევე ასოცირდება შუა საუკუნეების ლათინური სუფიქსის – -ia-სთან სიტყვაში – Turchia და შუა საუკუნეების ბერძნულ სუფიქსთან –ία სიტყვაში Τουρκία), რაც ნიშნავს „მესაკუთრეს" ან „მონათესავეს". პირველი დოკუმენტური წყარო, სადაც ტერმინი Türk ან „Türük"არის ნახსენები, როგორც აუტონიმი, არის ცენტრალური აზიის გიოქთურქების („Götürük") ორხონის წარწერები (VIII ს.).

თურქეთი (თურქულად Türkiye – ოფიციალურად თურქეთის რესპუბლიკა Türkiye Cumhuriyeti) – ეს არის ევრაზიაში მდებარე ქვეყანა, რომელიც განლაგებულია ანატოლიის ნახევარკუნძულზე, დასავლეთ აზიასა და თრაქეზე (რუმელია), სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ბალკანეთის რეგიონში. მას ესაზღვრება რვა ქვეყანა: ბულგარეთი, საბრეძნეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი (ნახიჩევანი), ირანი, ერაყი და სირია. გარდა ამისა, სამხრეთით თურქეთს ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა, დასავლეთით – ეგეოსის ზღვა, ხოლო ჩრდილოეთით კი –შავი ზღვა. ანატოლიას თრაქესაგან აშორებს მარმარილოს ზღვა და თურქეთის სრუტეები (ბოსფორი და დარდანელი), რომლებსაც აზიასა და ევროპას შორის საზღვრად მიიჩნევენ. ამდენად, თურქეთი ტრანსკონტინენტური ქვეყანაა. აზიური თურქეთი ანატოლიაში მდებარეობს და ქვეყნის 97%-ს შეადგენს, ხოლო ევროპული თურქეთი კი – ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობს.

ორ კონტინენტზე სტრატეგიული მდებარეობის გამო, თურქეთის ეკონომიკა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოდელების უნიკალური ნაზავია. ძლიერი ისტორიულ-კულტურული ეკონომიკური გავლენით რეგიონში ევროპას, ცენტრალურ აზიას, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის თურქეთმა ბოლო საუკუნეებში სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. მისი თანამედროვე პოლიტიკური სისტემა 1923 წელს ჩამოყალიბდა მუსტაფა ქემალ ათათურქის მეთაურობით. მუსტაფა ქემალ ათათურქი მთავრობაში I მსოფლიო ომის ბოლოს ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ მოვიდა. მას შემდეგ თურქეთი სულ უფრო მჭიდროდ ხდება ინტეგრირებული დასავლეთთან ევროპის საბჭოში, ნატო-ში, OECD, OSCE და G-20-ში გაწევრიანებით. თურქეთმა ევროკავშირში სრულუფლებიან წევრობაზე მოლაპარაკება 2005 წელს დაიწყო, იყო რა ევროპის ეკონომიკური საბჭოს ასოცირებული წევრი 1963 წლიდან და საბაჟო კავშირის წევრი 1995 წლიდან.

ამასთან ერთად, როგორც მეტწილად მაჰმადიანური ქვეყანა, თურქეთი აგრძელებს ახლო კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინდუსტრიულ ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიასთან, ისეთ ორგანიზაციებში წევრობით, როგორიცაა OIC და ECO. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კლასიფიკაციით, თურქეთი განვითარებული ქვეყანაა, ხოლო პოლიტიკური მეცნიერების შეფასებით, იგი რეგიონული ზესახელმწიფოა. თანამედროვე ეტაპზე თურქეთის რესპუბლიკა სულ უფრო აქტიურად აცხადებს პრეტენზიას რეგიონულ ლიდერის როლზე და იმავე დროს ორი ცივილიზაციის გასაყარზე ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამოყენებით ცდილობს გააძლიეროს გავლენა გლობალურ პოლიტიკაში.

I. 2. თურქეთის რესპუბლიკის ბუნებრივ-კლიმატური პირობები

მრავალფეროვანია თურქეთის ბუნებრივ-კლიმატური პირობები. მისი აღმოსავლეთ რეგიონი მთაგორიანია. აქ იღებს სათავეს ევფრატი, ტიგროსი და არაქსი. თურქეთში მდებარეობს ვანის ტბა და არარატის მთა (5165 მ სიმაღლის მქონე ქვეყნის უმაღლესი მწვერვალით). გეოგრაფიულად თურქეთი იყოფა შვიდ რეგიონად: მარმარა, ეგეოსი, შავი ზღვის რეგიონი, ცენტრალური ანატოლია. აღმოსავლეთ ანატოლია. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლია და ხმელთაშუა ზღვის რეგიონი. უსწორმასწორო ჩრდილოეთ ანატოლიის ტოპოგრაფია შავი ზღვის გასწვრივ გრძელ, ვიწრო ქამარს ჰგავს. ეს რეგიონი თურქეთის მიწის დაახლოებით 1/6-ს შეადგენს. პლატო აღმოსავლეთისაკენ სულ უფრო უსწორმასწორო ხდება. თურქეთის მრავალფეროვანი ტოპოგრაფია ათასობით წლების განმავლობაში დედამიწის ქერქის კომპლექსური მოძრაობის შედეგია. ეს რეგიონი დღესაც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მიწისძვრებისა და ვულკანური ამოფრქვევის ზონაშია.

ბოსფორისა და დარდანელის არსებობა დედამიწის ქერქში გეოლოგიური რღვევის შედეგია, რამაც შავი ზღვის წარმოშობა განაპირობა. მიწისძვრების არეალი გადის ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილზე დასავლეთიდან აღმოსავლეთით, რომელმაც 1999 წლის დიდი მიწისძვრა გამოიწვია (ეპიცენტრით იზმირში).

თურქეთის რესპუბლიკის კლიმატი კონტინენტური, ხმელთაშუა ზღვის ტიპისაა. ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ სანაპირო რეგიონს ზომიერი ხმელთაშუა ზღვის ტიპის კლიმატი ახასიათებს, ცხელი, მშრალი ზაფხულითა და ნესტიანი გრილი ზამთრით. კლიმატური პირობები გაცილებით მკაცრია ქვეყნის შუაგულში. სანაპიროს გასწვრივ მთათა ქედები ხელს უშლის ხმელთაშუა ზღვის ჰავის გავრცელებას ქვეყნის შიგნით, რაც ანატოლიის პლატოს კონტინენტურ კლიმატს აძლევს მკაცრად კონტრასტულ სეზონურ სახეს. ზამთარი პლატოზე განსაკუთრებით მკაცრია. აღმოსავლეთ ნაწილში ზამთარში ტემპერატურა შეიძლება –30° C-ზე დაეცეს, ხოლო თოვლი მიწაზე შესაძლოა წელიწადში 120 დღე იყოს. დასავლეთ ნაწილში ზამთრის საშუალო ტემპერატურაა 1°C-ზე. ზაფხული ცხელი და მშრალია, საშუალო ტემპერატურით 30°C-ზე მაღლა დღისით.

წლიური ნალექების რაოდენობა საშუალოდ 400 მილიმეტრს აღწევს. ფაქტობრივი რაოდენობა დამოკიდებულია სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ყველაზე მშრალი რეგიონებია კონიასა და მალათიას გავაკება, სადაც წლიური ნალექების რაოდენობა 300 მილიმეტრზე ნაკლებია. მაისი ზოგადად ყველაზე ნესტიანი თვეა, ივლისი და აგვისტო კი –ყველაზე მშრალი. თურქეთის რესპუბლიკის მთა-

ვარი მდინარეებია: ყიზილ-ირმაქი (1182 კმ), ევფრატი (960 კმ, სულ 2770 კმ), ხოლო მთავარი ტბები კი არის ვანი – 3738 კვ. კმ., თუზი – 1700 კვ. კმ., ბეიშეჰირი –780 კვ.კმ, ქებანი–675 კვ.კმ., ეღრიდირი–590 კვ.კმ., უდიდესი კუნძულია გოქჩადა.

I. 3. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობა

ადმინისტრაციულად თურქეთის ტერიტორია დაყოფილია 81 პროვინციად, რომლებიც, თავის მხრივ, გაერთიანებულია 7 რეგიონში, თუმცა მათ ადმინისტრაციული დატვირთვა არ გააჩნიათ. ყოველი პროვინცია დაყოფილია რაიონებად, რაც საერთო ჯამში 923 რაიონს შეადგენს. პროვინციებს, როგორც წესი, იგივე სახელი აქვს, რაც მათ შესაბამის პროვინციულ დედაქალაქს, რასაც ასევე ცენტრალური რაიონი ჰქვია. გამონაკლისებია ჰათაი (დედაქ. ანტაკია), ქოჯაელი (დედაქ. იზმითი) და საქარია (დედაქ. ადაფაზარი). პროვინციები უდიდესი მოსახლეობით არის წარმოდგენილი. კერძოდ, სტამბოლი (+12 მილიონი), ანკარა (+4,4 მილიონი), იზმირი (+3,7 მილიონი) და კონია (+1,9 მილიონი). უდიდესი ქალაქი და რესპუბლიკამდელი დედაქალაქი – სტამბოლი ქვეყნის ფინანსური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. სხვა მნიშვნელოვან ქალაქებს შორის აღსანიშნავია იზმირი, ბურსა, ადანა, ტრაპზონი, მალათია, გაზიანთეფი, ერზურუმი, კაისერი, ქიჯაელი, კონია, მერსინი, ესკიშეჰირი, ანტალია და სამსუნი. თურქეთის მოსახლეობის 70,5% ურბანულ ცენტრებში ცხოვრობს ყველა პროვინციებიდან 18-ის მოსახლეობა 1 მლნს აჭარბებს, ხოლო 21 პროვინციაში მოსახლეობა 1,5 მლნს აღწევს, მხოლოდ 2 პროვინციაში ცხოვრობს 100000-ზე ნაკლები ადამიანი.

თურქეთის კონსტიტუცია მართავს ქვეყნის იურიდიულ საკითხებს. მასში ასევე განსაზღვრულია მთავრობის ძირითადი პრინციპები. იგი თურქეთს აყალიბებს, როგორც უნიტარულ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. თურქეთის რესპუბლიკის მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც მეტწილად ცერემონიული როლი აკისრია. პრეზიდენტს ირჩევენ ხუთი წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა საბჭო, რომლებიც ერთად მთავრობას ქმნიან. საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს ერთპალატიანი პარლამენტი–თურქეთის დიდი ნაციონალური ასამბლეა. სასამართლო დამოუკიდებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის თურქეთის რესპუბლიკის ლეგალურ სისტემასთან მორჩილებას განაგებს.

თურქეთის სახელმწიფო საბჭო ადმინისტრაციული საქმეების უკიდურესი შემთხვევების განხილვის ტრიბუნალია, ხოლო სააპელაციო უმაღლესი სსამართლო კი სხვა, ყველაფრის განხილვის ადგილია. პრემიერ-მინისტრს ირჩევს პარლამენტი, მისი მთავრობის მხარდაჭერით და, როგორც წესი, მმართველი პარტიის მეთაურია. მიმდინარე პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი (სტამბო-

ლის ყოფილი მერი) ხელისუფლებაში მოვიდა მისი პარტიის – კონსერვატიული სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) 202 წლის საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებში ადგილების უმრავლესობის მიღების შედეგად. ამ არჩევნებში ამომრჩეველთა მხოლოდ 34-%მა მიიღო მონაწილეობა მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის ფონზე. 2007 წლის ზოგად არჩევნებში AKP-ამ ხმების 46,6% მიიღო, რითაც მანდატების უმრავლესობა შეინარჩუნა. პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების პარლამენტის წევრობა სავალდებულო არ არის, თუმცა უმეტესწილად ეს ასეა (ერთი გამონაკლისის გარდა, როცა ქემალ დევრიში 2001 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ იყო სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკის სფეროში, მაგრამ პარლამენტის წევრობით არ უსარგებლია). საყოველთაო საარჩევნო უფლებები ორივე სქესის მოსახლეობისათვის ქვეყანაში 1933 წელს შემოიღეს. შედეგად თურქეთის ყოველი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა თურქეთში ჩატარებულ ყველა არჩევნებში.

2014 წლისათვის ქვეყანაში სულ 50 რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია იყო, რომელთა იდეოლოგია მერყეობს ულტრა მემარცხენეობიდან ულტრამემარჯვენეობამდე. კონსტიტუციურ სასამართლოს შეუძლია მოუხსნას რომელიმე პოლიტიკურ პარტიას დაფინანსება, თუ ის გადაწყვეტს, რომ ეს პარტია ანტისეკულარი ან სეპარატისტულია. მას შეუძლია საერთოდ აკრძალოს ამ პარტიი საქმიანობა. პარლამენტში 550 დეპუტატია, რომელთაც ოთხწლიანი მანდატით ირჩევენ პარტიული პოპორციული წარმომადგენლობითი სისტემით 85 საარჩევნო ოლქიდან, რომლებიც ც81 ადმინისტრაციულ პროვინციას წარმოადგენენ. სტამბოლი იყოფა სამ საარჩევნო უბნად, ხოლო ანკარა და იზმირი კი – ორ-ორად (მჭიდრო დასახლების გამო). პარლამენტში გადაჭარბებული პოლიტიკური ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად დაწესებულია 10%-იანი საარჩევნო ბარიერი (მხოლოდ ის პარტიები იღებენ საპარლამენტო მანდატს, რომლებიც საყოველთაო არჩევნებში საერთო ხმების მინიმუმ 10%-ს იღებენ). ამ მინიმუმის გამო, 2007 წლის არჩევნებში პარლამენტში სამი პარტია მოხვდა. მიუხედავად ამისა, ალიანსებისა და დამოუკიდებელ კანდიდატთა სისტემის წყალობით პარლამენტი ამჟამად წარმოდგენილია შვიდი პარტიით. კენჭისყრა შეუძლიათ დამოუკიდებელ კანდიდატებსაც, თუმცა დეპუტატობის მისაღებად 10%-იანი ბარიერი მათაც უნდა გადალახონ. ამრიგად, თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობა საკმაოდ მოწესრიგებულია იმ თვალსაზრისით, რომ მისმა ამ ფორმით ფუნქციონირებამ ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. შესაბამისად ეს ვითარება ნათლად არის ასახული ბოლო ოცი წლის განმავლობაში თურქეთის ეკონომიკის აღმავლობაში.

I. 4. თურქეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები

თურქეთი გაეროს (1945), OECD (1961), OIC (1969), OSCE (1973), ECO (1985), ბისეკის (1992) და G-20-ის (1999) დამფუძნებელი წევრია. 2008 წლის 17 ოქტომბერს თურქეთმა მიიღო 151 ხმა, რითაც არჩეული იქნა გაეროს უშიშროების საბჭოში ავსტრიასთან ერთად, რომელმაც 132 ხმა მიიღო. თურქეთის წევრობა საბჭოში ოფიციალურად დაიწყო 2009 წლის 1 იანვარს. ადრე თურქეთი უშიშროების საბჭოს წევრი იყო 1951-1952, 1954-1955 და 1961 წლებში. ტრადიციული დასავლური ორიენტაციის შესაბამისად, ევროპასთან ურთიერთობა მუდამ იყო თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური ნაწილი. თურქეთი გახდა ევროპის საბჭოს დამფუძნებელი წევრი 1949 წელს და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ასოცირებულ წევრობაზე შეიტანა განაცხადი 1959წელს, წევრი გახდა 1963წელს.

რამდენიმე ათწლეულის პოლიტიკურ მოლაპარაკებათა შემდეგ თურქეთმა თანამეგობრობის სრულ წევრობაზე შეიტანა განაცხადი 1987 წელს. ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდა 1992 წელს. ევროკავშირთან ამ ქვეყანამ საბაჟო შეთანხმებას მიაღწია 1995 წელს, ხოლო ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკება ოფიციალურად დაიწყო 2005 წლის 3 ოქტომბერს. ეს პროცესი სავარაუდოდ სულ მცირე 15 წელს გაგრძელდება თურქეთის სიდიდისა და გარკვეულ საკითხებზე პოლარული შეუთანხმებლობის გამო. ამ საკითხთა შორისაა შეუთანხმებლობა ევროკავშირის წევრ კვიპროსთან თურქეთის მიერ 1974 წელს ამ ქვეყანაში სამხედრო რეჟიმის დამყარებასთან დაკავშირებით. 1974 წლიდან თურქეთი არ ცნობს ბერძნული კვიპროსის რესპუბლიკას, როგორც კუნძულის ერთადერთ მმართველობას და ნაცვლად მხარს უჭერს დეფაქტო-ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, რომელიც მხოლოდ თურქეთის მიერ არის ცნობილი.

თურეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის კიდევ ერთი განმსაზღვრელი ასპექტია მისი კავშირი აშშ-სთან. საბჭოთა კავშირიდან წამოსული საერთო საფრთხის გამო თურქეთი ნატოში გაწევრიანდა 1952 წელს, რამაც ცივი ომის პერიოდში მისი ვაშინგტონთან მჭიდრო კავშირი განაპირობა. ცივი ომის შემდგომ წარმოქმნილ გარემოებებში თურქეთის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა მის ახლო აღმოსავლეთთან, კავკასიასთან და ბალკანეთთან სიახლოვეში ინაცვლებს. სირიის სიახლოვეს მდებარე ნატოს ავიაბაზა და თურქეთის მეზობლობა ერაყთან აშშ-ის სამხედრო ოპერაციებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი გახდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო თურქეთის პოზიციური ურთიერთობები ისრაელთან.

სანაცვლოდ თურქეთმა აშშ-საგან მიიღო პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური მხარდაჭერა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა მისი გაწევრიანება ევროკავშირში. 1980-იან წლებში თურქეთმა გააააქტიურა თანამშრომლობა აღმოსავლეთ აზიის მოწინავე ქვეყნებთან, განსაკუთრებით იაპონიასა და სამხრეთ კორეასთან მთელ რიგ ინდუსტრიულ სექტორებში, დაწყებული ავტო და ხელსაწყოთმშენებლობიდან, დამთავრებული საყოფაცხოვრებო საქონლითა და სამხედრო ინდუსტრიით. თურქულენოვანი სახელმწიფოების საბჭოთა კავშირიდან 1991 წელს გამოყოფამ თურქეთს საშუალება მისცა განევრცო მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ცენტრალურ აზიაშიც. ამ ურთიერთობებიდან ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა მრავალმილიარდ დოლარიანი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენის პროექტი „ბაქო-ჯეიჰანი".

ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენით თურქეთი დასავლეთისათვის ენერგომატარებლების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმწოდებელი გახდა, თუმცა თურქეთის საზღვარი სომხეთთან დღემდე ჩაკეტილი რჩება, ამ უკანასკნელის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის ოკუპირების გამო ყარაბაღის ომის პერიოდში. 2011 წლის მონაცემებით თურქეთი ეკონომიკური თანამეგობრობის და განვითარების ორგანიზაციის დამფუძნებელი და G-20-ეულის წევრი ქვეყანაა. თურქეთის რესპუბლიკად გადაკეთების შემდეგ პირველი ექვსი ათწლეულის განმავლობაში (1923-1983 წწ.) თურქეთი ძირითადად კვაზიეტატიზმის მიმართულებას მიჰყვებოდა ბიუჯეტის მკაცრი სამთავრობო დაგეგმვითა და მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვებით კერძო სექტორის წილზე, საგარეო ვაჭრობაზე, უცხოური ვალუტის შემოდინებაზე და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. თუმცა 1983 წლიდან თურქეთმა რეფორმების სერიის განხორციელება დაიწყო, რომლის მიზანი ეკონომიკის უფრო ღია, საბაზრო მოდელზე გადასვლა იყო. რეფორმებს შედეგად სწრაფი ზრდა მოჰყვა, თუმცა მას ხელი შეუშალა 1994, 1999 (ეს უკანასკნელი წინა წლით მომხდარ მძლავრ მიწისძვრას მოჰყვა) და 2001 წლების ფინანსურმა კრიზისმა, რისი შედეგიც 1981-2003 წლებში 4% მშპ-ის ზრდა მოჰყვა.

როგორც აქ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, თურქეთის ეკონომიკა, ხელისუფლების მიერ თანმიმდევრული, პრაქტიკულ რეალოვასთან მორგებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარების წყალობით საკმაოდ დიდი ტემპით მზარდ აღმოავლობას განიცდიდა, რასაც ნაწილობრივ აფერხებდა ბუნებრივი კატასტროფების ან საგარეო შოკების ზეგავლენის შედეგად განცდილი კრიზისები. თურქეთი ამ კრიზისებს თავს ართმევდა საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში სწორი პრიორიტეტების გამოკვეთითა და მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნით.

I. 5. თურქეთის რესპუბლიკის დარგობრივ-ეკონომიკური ანალიზი

თურქეთის რესპუბლიკის საერთო მშპ შეადგენს 915 მლრდ აშშ დოლარს, რითაც იგი 15-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე კი – 13,14 ათას აშშ დოლარს, რითაც იგი 61-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში. ამ ქვეყნის ვალუტაა თურქული ლირა. თურქეთის რესპუბლიკის ბუნებრივ რესურსებს განეკუთვნება: ქვანახშირი, ქრომი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, სპილენძი, გოგირდი, რკინის მადანი, სასოფლო-სამეურნეო მიწები და ჰიდროენერგია.

ინვესტიციებზე მთავრობის კონტროლის შემცირებით და საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფი საწარმოების პრივატიზაციით, თურქეთმა დროთა განმავლობაში საკუთარი ბაზრები გახსნა. ამასთან, მრავალი სექტორის ლიბერალიზაცია დღემდე გრძელდება, მიუხედავად მწვავე პოლიტიკური დებატებისა, მშპ-ის ზრდის ტემპმა 2002-2007 წლებში 7,4%-ს შეადგინა, რის გამოც თურქეთი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა გახდა მსოფლიოში ამ პერიოდის განმავლობაში. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, თურქეთის მშპ-ის ზრდის ტემპმა 2008-2014 წლებში 3,4% შეადგინა. თურქეთის ეკონომიკის დომინანტური დარგი სოფლის მეურნეობა უკვე აღარ არის. ის ჩაანაცვლა ინდუსტრიულმა კომპლექსებმა მთავარ ქალაქებში, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის დასავლეთ პროვინციებშია კონცენტრირებული, განვითარებულ მომსახურეების სექტორთან ერთად.

2014 წელს სოფლის მეურნეობამ ქვეყნის ეეპ-ის 8,9% შეადგინა, მაშინ როდესაც ინდუსტრიული სექტორი 30,8%-ითაა წარმოდგენილი, ხოლო მომსახურების სექტორი კი – 59,3% იყო. ბოლო 20 წლის განმავლობაში ტურიზმის სექტორი სწრაფად განვითარდა და იგი თურქეთის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. 2014 წელს ქვეყანა მოინახულა 31 მლნ-მა ტურისტმა, რამაც ქვეყნის ბიუჯეტს 21,9 მლრდ აშშ დოლარი შესძინა. თურქეთის ეკონომიკის სხვა ძირითადი სექტორებია: საბანკო საქმე, მშენებლობა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოება, ელექტროტექნიკა, საფეიქრო მრეწველობა, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა, კვების მრეწველობა, მანქანათ- და ხელსაწყოთმშენებლობა.

თურექტს მზარდი სამანქანათმშენებლო ინდუსტრია აქვს, რომელმაც 2013 წელს 1 მლნ 25 ათასი ავტომობილი აწარმოა, რის გამოც ამ წელს ევროპაში სიდიდით მეექვსე ავტომწარმოებელი გახდა : გერმანიის (5,8 მლნ), საფრანგეთის (3,17 მლნ), ესპანეთის (2,77 მლნ), გაერთიანებული სამეფოს (1,65 მლნ) და იტალიის (1,2 მლნ) შემდეგ. თურქეთი ასევე ერთ-ერთი წამყვანი გემთმშენებელი ქვეყანაა. 2013 წელს ქვეყანა რანგით მეოთხე იყო (ჩინეთის, სამხრეთ კორეისა და

იაპონიის შემდეგ) გემების შეკვეთების მიხედვით, და ასევე მეოთხე მსოფლიოში ნეგაიახტების შეკვეთების მიხედვით (იტალიის, აშშ-ისა და კანადის შემდეგ). ბოლო წლებში მოხერხდა ქრონიკულად მაღალი ინფლაციის გაკონტროლება, რის შედეგადაც ახალი ვალუტა ახალი თურქული ლირა შემოიღეს 2005 წლის 1 იანვარს, ეკონომიკური რეფორმების მიღწეული წარმატებების გასამყარებლად.

2009 წლის 1 იანვარს ახალ თურქულ ლირას ხელახლა დაერქვა თურქული ლირა, რის გამოც ახალი ბანკნოტები და მონეტები გამოიცა. 2005 წლისათვის ხანგრძლივი ეკონომიკური რეფორმების შედეგად ინფლაციის დონემ 8,2%-მდე დაიწია, ხოლო უმუშევრობის დონემ კი – 10,3%-მდე. 2004 წელს სრული შემოსავლების 46,2% მიიღო შემოსავლების მიმღები მოსახლეობის ზედა 20%-მა, მაშინ, როცა შემოსავლების მიმღები მოსახლეობის ქვედა 20%-მა მიიღო საერთო შემოსავლების 6%. დამატებითი ფისკალური რეფორმების გაუტარებლობამ, რასაც დაემატა სახელმწიფო დეფიციტის ზრდა და მასშტაბური კორუფცია, ინფლაციის ტემპების დაჩქარება და საბანკო სექტორის შერყევა, დიდი მაკროეკონომიკური რისკი წარმოქმნა. 2001 წლის ეკონომიკური კრიზისისა და იმ პერიოდში წამოწყებული რეფორმების შედეგად, ინფლაციის დონე ერთნიშნა ციფრებზე ჩამოვიდა, ამ ფონზე იმედი გაუჩნდათ ინვესტორებს და შესაბამისად მკვეთრად გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მოცულობაც. ამან თავის მხრივ, შეამცირა უმუშევრობის დონეც. 2014 წელს თურქეთის ინფლაციის დონე 6%-მდე შემცირდა.

წლების განმავლობაში დაბალი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა. 2007 წელს თურქეთმა შეძლო 21,9 მლრდ აშშ დოლარის მოზიდვა. მსხვილმასშტაბიანი პრივატიზების სერიამ, ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებით გამოწვეულმა სტაბილურობამ, მშპ-ის სტაბილურად ზრდამ, საბანკო, საცალო სავაჭრო და სატელეკომუნიკაციო სექტორში განხორციელებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. თურქეთმა მნიშვნელოვნად ისარგებლა ევროკავშირთან საბაჟო კავშირში გაწევრიანების შესახებ შეთანხმების გაფორმებით. რომელსაც ხელი მოეწერა 1995 წელს, რამაც ხელი შეუწყო მისი საექსპორტო-ინდუსტრიული წარმოების ზრდასა და ევროკავშირის ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვას. 2013 წელს ექსპორტმა 85,3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა 132 მლრდ აშშ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით 16,3%-ითა და 19,7%-ით გაიზარდა. შესაბამისად, 2014 წლისათვის ექსპორტმა უკვე 94 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამდენად, გააზრებული რეფორმების გატარების შედეგად თურქეთმა მიაღწია მდგრად ეკონომიკურ აღმასვლას.

თემა II. თურქეთის განვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები

II. 1.

შესავალი

ეკონომიკის სფეროში თურქეთის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა 2023 წლისათვის (რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით) შევიდეს მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყანათა ათეულში და გახდეს რეგიონის ლიდერი ტექნოლოგიური მოდერნიზაციის სფეროში. ცხადია, ასეთი ამბიციები ეფუძნება ობიექტურ ფაქტორებს: ამ ქვეყნის ეკონომიკა განიცდის სტაბილურ განვითარებას ევროპის მასშტაბით ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მაღალი საშუალოწლიური ზრდის ტემპით (5,1%-ით); ეკონომიკის განვითარების მიხედვით, მას უკავია მე-16-ე ადგილი მთელ მსოფლიოში და მე-6-ე ადგილი ევროპის მასშტაბით; ხელსაყრელი დემოგრაფიული ვითარება – ძალზე ახალგაზრდა მოსახლეობა (78 მლნ ადამიანში 54 მლნ 30 წლამდე ასაკისა და შრომისუნარიანია); ქვეყანაში მოქმედებს 139 უნივერსიტეტი (მათ შორის 94 სახელმწიფო უნივერსიტეტია, ხოლო 45 კი – კერძო), სადაც სწავლობს დაახლოებით 3 მლნ სტუდენტი და ყოველწლიურად ამთავრებს 400 ათასი კურსდამთავრებული. 25 მლნ ადგილობრივი მცხოვრები სარგებლობს ინტერნეტით.

ამ ქვეყნის ეკონომიკა არა მარტო აკმაყოფილებს ადგილობრივ მომხმარებელთა მოთხოვნას საკუთარი სურსათით, სახალხო მოხმარების საქონლით (მათ შორის, ხანგრძლივი მოხმარების ჩათვლით), არამედ წარადგენს მათ ექსპორტზე ევროპის, ამერიკის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. თურქეთის სამშენებლო კომპანიები ფუნქციონირებს 89 ქვეყანაში, სადაც მათ მიერ აგებულია 189 მლრდ დოლარის საერთო ღირებულების 6 ათასზე მეტი სამრეწველო, სოციალურ-კულტურული და კვების ობიექტები. მათ შორის რუსეთში 34 მლრდ დოლარის საერთო ღირებულების 1260 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი. 33 მსხვილი კომპანია შედის მსოფლიოს უმსხვილეს სამშენებლო კომპანიათა რიცხვში (ამ მაჩვენებლის მიხედვით თურქეთს მეორე ადგილი უკავია ჩინეთის შემდეგ).

თურქეთი ისწრაფვის აგრეთვე გახდეს სტრატეგიული ენერგეტიკული გამტარი ევროპასა და აზიას შორის, რადგანაც იგი აკონტროლებს ნავთობისა და გაზის მიწოდების როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო მარშუტებს. იგი ფლობს უაღრესად ხელსაყრელ გეოგრაფიული განლაგებას იმ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის, რომლებიც ერთის მხრივ ფლობენ მსოფლიოს ნახევარზე მეტ ნავთობს (რუსეთი, კასპიის რეგიონი, ცენტრალური აზია, ირანი და ახლო აღმოსავლეთი)

და მეორეს მხრივ, კი ფლობენ ენერგორესურსების მომხმარებელ უმსხვილეს ბაზრებს (ევროკავშირი, ჩინეთი, აზია). ამ დროს თურქეთს, შიდა და საერთაშორისო გადაზიდვების მიზნით გააჩნია 25 საზღვაო-სავაჭრო ფლოტი და ევროპაში ყველაზე დიდი ტევადობის მქონე, მსხვილი სატვირთო ავტომობილები (45 ათასი ერთეული). ქვეყანაში მოქმედებს 50 საზღვაო და 45 აეროპორტი.

თურქეთის საგარეო პოლიტიკა ბოლო წლების განმავლობაში „არაბული გაზაფხულის" დადგომამდე ეფუძნებოდა „სტრატეგიული სიღრმის" –„მეზობლებთან პრობლემების ნულოვანი დონისა" და „თურქეთის ირგვლივ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ზონის შექმნის" ორ პრინციპულ კონცეფციას, მაგრამ სამხრეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში წარმოქმნილმა რევოლუციურმა ტალღამ აიძულა თურქეთის ხელისუფლება მოეხდინა რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობის პოლიტიკის სერიოზული კორექტირება და მმართველ რეჟიმსა და ოპოზიციას შორის შუამავლის ტრადიციული როლიდან რიგ შემთხვევაში გადასულიყო ანტირეჟიმული ძალის მხარდაჭერაზე. ამასთან ერთად, თურქეთი უარს არ ამბობს რეგიონში წარმოქმნილ კონფლიქტურ ზონებში თავის „მომრიგებლურ" პოზიციაზე (სახელდობრ, ირანის პრობლემასთან მიმართებაში).

იმავდროულად თურქეთის ხელისუფლება ძალისხმევას სწევს არაბულ სამყაროში, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებში პოლიტიკური წყობის „თურქული მოდელის" გავრცელებაზე. მთლიანობაში ანკარა ახდენს მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის დეკლარირებას, ისეთი პრიორიტეტების დასახვით, როგორიცაა ნატოს, ევროატლანტიკური უსაფრთხოების, დაბლოკვის პოლიტიკის (თურქეთი – ნატოს წევრი ქვეყანაა) საიმედოობის როლისა და დასავლეთთან კავშირის შენარჩუნება იმავდროულად რუსეთთან მიმართებაში კეთილმეგობრული ურთიერთობის განვითარების პირობებში. ურთიერთობის სერიოზული პოტენციალის არსებობა დაამტკიცა მოსკოვში –თურქეთის პრემიერ-მინისტრის, ხოლო სტამბულში კი რუსეთის პრეზიდენტის არაერთმა ვიზიტმა, მათ შორის რეგიონულ საკითხებშიც, მიუხედავად ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებისადმი მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობისა. ცხადია, რომ „თურქეთის ფაქტორის" შუამავლის როლის გათვალისწინება მნიშვნელოვანია რუსეთის საერთაშორისო პოზიციების შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის როგორც ზოგადად, ისე უპირველეს ყოვლისა, მისი საგარეო პოლიტიკური გარემოცვის აღმოსავლეთ ფლანგზე, და აგრეთვე დასავლეთთან მიმართებაში რუსეთის წინააღმდეგობრივ ინტერესთა ტრენდის გასანეიტრალებლად მზარდი ძალისხმევისათვის მთელ მსოფლიო არენაზე.

II. 2. თანამედროვე თურქეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებანი

თანამედროვე ეტაპზე დგება თურქეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო თავისებურებების, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებთან „თანამშრომლობისა" და „დაძაბულობის ზონების" გამოვლენის აუცილებლობა. უკვე თითქმის 13 წელია თურქეთს ხელმძღვანელობს სამართლიანობისა და განვითარების პარტია, რომლის მთავარი ოპოზიციური ძალაა სახალხო-რესპუბლიკური პარტია. მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოთამაშეს წარმოადგენს აგრეთვე ნაციონალური მოძრაობის ულტრამემარჯვენე პარტია. ამ უკანასკნელის პოზიციების გამყარება ძირითადად განაპირობა ტერორიზმის გააქტიურებამ და ეროვნული უსაფრთხოების მოშლის მღელვარების ზრდამ. უკანასკნელ დრომდე თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ მახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს, ის, რომ არჩევნებში გამარჯვებული პარტიები, რომელთაც გადაიფორმეს მმართველობა, დე-ფაქტო არ ფლობდნენ ავტონომიურად და დამოუკიდებლად ქვეყნის სამართავად საკმარის სახელისუფლებო ზეგავლენის მქონე რესურსებს.

ამ პოლიტიკურმა ძალებმა მიიღეს არა ძალაუფლება, არამედ მისი „ქემალისტი" მმართველი სისტემისაგან გამოყოფის შესაძლებლობა, რომლის გავლენაც ინსტიტუციალიზირებული იყო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფარგლებში (სადაც შედის საკვანძო მინისტრები და მაღალი კომანდისტრური შეიარაღებული ძალები) და აგრეთვე სხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ სტრუქტურებში, რომლის მეშვეობითაც ელიტა, უპირველესად სამხედრო, გავლენას ახდენს მიმდინარე პოლიტიკაზე. 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის გამარჯვების შემდეგ მის ირგვლივ არ შემოკრებილა „ქემალისტი" ელიტა, როგორც ღირსეული და ლეგიტიმური პარტნიორი, რომელსაც შეეძლო დაეშალა უმრავლესობა ხელისუფლებაში. უფრო მეტიც, პირიქით, უახლოეს კონკურენტებთან შედარებით, ხელისუფლების უმრავლესობით გადაბარების მიუხედავად, ერდოღანის პარტია პოლიტიკური ყოფა-ცხოვრების თვალსაზრისით აღმოჩნდა „გამოუცდელი, მოზარდი ბავშვის" მდგომარეობაში.

არმია და სამხედრო ელიტა აშკარად დაუპირისპირდნენ მმართველობას. ისინი არაორაზროვნად გამოხატავდნენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამართლიანობისა და განვითარების პარტია მოქმედებს არა თურქეთის ინტერესების შესაბამისად, არამედ მიაქანებს ქვეყანას ისლამური რესპუბლიკისაკენ. სამართლიანობისა და განვითარების პარტია პოლიტიკურ „წნეხში" მოქცე-

ვის გამო, იძულებული გახდა დაეთმო ხელისუფლების უმრავლესობაზე თავისი უფლება, რათა შეენარჩუნებინა პოლიტიკური არსებობა. ასეთ პირობებში „თვით-გაძლიერების" პოლიტიკა ამ პარტიისათვის იქცა ფიქტიურ ტერმინად და იგი წავიდა დემიკრატიზაციის პროცესის გაღრმავებისაკენ, პარლამენტში ერთპარტიული უმრავლესობის დათმობითა და პლურალიზმის სისტემის დანერგვის გზით, რაც უშუალოდ დაკავშირებული იყო ერდოღანის პარტიის „გადარჩენასთან".

პარტიამ აირჩია თავისი ლეგიტიმურობის გამყარების ორი ძირითადი მიმართულება: ერთის მხრივ, სოციალურ სფეროში კონკრეტული მიღწევების უზრუნველყოფა; მეორე მხრივ, „ხალხის სურვილის" პრიორიტეტთა შესახებ თეზისის (და შესაბამისად, არჩევნების შედეგების მიხედვით, წინა ხელისუფლების ძალის) მუდმივი წინსვლა, რაც სახელმწიფო აპარატს, ხალხის ნება-სურვილის გამოხატვის გარეშე ჩამოყალიბებულ, ძლევამოსილ არმიასა და ანალოგიურ ინტიტუტებს მისცემდა „ქემალისტური" ელიტის კანონიერი გაკონტროლების შესაძლებლობას. სამართლიანობისა და განვითარების პარტიისათვის პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და პოლიტიკური წონის გაფართოების კიდევ ერთ არხად იქცა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. ამ პარტიის გამყარების პირველი მიმართულების რეალიზაცია ეფუძნებოდა ერდოღანის შიდაპოლიტიკური სტრატეგიის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორიცაა ნეოლიბერალიზმის გავრცელება. თავისუფალი ბაზრის ფასეულობა არ ეწინააღმდეგებოდა საბაზრო ფუნდამენტალიზმს.

შესაბამისად, მმართველობა საკმაოდ ხშირად მიმართავდა საბაზრო-ლიბერალურ წესებს, რომელსაც უსადაგებდა სოციალურ ასპექტებს სიღარიბის პრობლემის დაძლევისა და სოციალურად დაუცველი ფენის მატერიალური მხარდაჭერის მიზნით სასურსათო და კვების პროდუქტებით მათი საბაზო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ნაკლებადუზრუნველყოფილთა სოციალური მხარდაჭერის მეტ-ნაკლებად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს კეთილისმყოფელი ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ხშირად გამოდიან პარტიულ-პოლიტიკური სტრუქტურის ღიად მხარდამჭერის როლში. სამართლიანობისა და განვითარების პარტია ფართოდ იყენებს ამ ტაქტიკას პოლიტიკური ძალის სახის შექმნისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც შესწევს უნარი უზრუნველყოს არამარტო განვითარება, არამედ სოციალური სამართლიანობის აღდგენაც. „სახელმწიფო" სიკეთე, რომელიც გამიზნულია სოაციალური სიკეთის უთანასწოროდ გადანაწილების აღმოფხვრისაკენ, ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს სამართლიანობისა და განვითარების პარტიის სოციალური ბაზის გამყარებასა და დახმარების არხების საზოგადოების ყველაზე უღარიბეს ფენებამდე დაყვანაში.

II. 3. თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები

თურქეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის განხორციელება, რომელსაც უპირობოდ შეიძლება ეწოდოს „ანტიქემალისტური რევოლუცია". საუბარი ეხება სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობის მანამდე ფორმირებული მოდელის რევიზიას და სამხედრო ელიტის პოლიტიკურ სუბიექტად ფორმირების აკრძალვას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ მთლიანობაში მიაღწია იმას, რომ შეესუსტებინა ძველი ქემალისტური ელიტის პოზიციები, მასზე რეალური ზეგავლენის ბერკეტების ჩამორთმევითა და საზოგადოების თვალში სერიოზული დისკრედიტაციის გზით. აღნიშნულმა პარტიამ არა მარტო ჩამოიცილა პრეზიდენტის თანამდებობიდან „ქემალისტური" პარტიის წარმომადგენელი, არამედ საკუთა თავზე აიღო ბევრი სხვა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ვალდებულებები, მათ შორის უპირველესი იყო ქემალისტური ელიტის მკაცრი კონტროლი.

ასე მოიყვანა თავისი კანდიდატი განათლების ორგანოს სათავეში, რომელმაც გააკონტროლა ყველა უმაღლესი სასწავლებელი და გადამწყვეტი როლი შეასრულა რექტორების დანიშვნაში. შემდგომი ნაბიჯი იყო ფაქტიური საკადრო რეფორმა სასამართლო კორპუსში. 2010 წლის 12 სექტემბერს ჩატარებული რეფერენდუმით შემუშავდა სასამართლოს პერსონალის ფორმირების ახალი პრინციპები, ხოლო არმიის სამართლებრივი ავტონომია, რომელიც არექვემდებარებოდა სამოქალაქო სასამართლოს, უკვე გადაეცა მისი დაქცემდებარების ქვეშ. მოიშალა არმიის „თვითწმენდის" შესაძლებლობები. სამსახურიდან გათავისუფლება აღიჭურვა ახალი ბიუროკრატიული პროცედურებით და გამოყოფილი იქნა არმიის სამსახურის უშუალო კომპეტენციიდან, ხოლო ყველა გათავისუფლებულს უფლება მიეცა გასაჩივრების მიზნით მიემართა სასამართლოსათვის.

სამხედრო ელიტის პოლიტიკური გავლენის მქონე მთავარი ორგანო–ეროვნული უსაფრთხოების საბჭო გატარებული რეფორმების შედეგად, მისი შემადგენლობის მიხედვით გახდა „ბევრად უფრო სამოქალაქო". თავისი გავლენის მნიშვნელოვან ნაწილს იგი ახარჯავს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. 2003 წელს გატარებული ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად მოიხსნა აუცილებელი მოთხოვნა იმისა, რომ აღნიშნული საბჭოს გენერალური მდივანი ყოფილიყო მოქმედი გენერალი. 2004 წელს ამ თანამდებობაზე პირველად იქნა დანიშნუ-

ლი სამოქალაქო პირი. აგრეთვე მას შეეზღუდა იმის უფლება, რომ ჰქონოდა ნებისმიერ სამოქალაქო ორგანიზაციაში ან სახელისუფლებო ორგანოში შეუზღუდავად შეღწევის უფლება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით. სინამდვილეში ამით ხდებოდა სახელმწიფო აპარატის საქმიანობის კონტროლის განხორციელება. სამხედრო ელიტასთან მიმართებაში აღნიშნული საბჭოს ხელმძღვანელობის სტილის ცვლილების ნათელი მტკიცებაა თავად საბჭოს სხდომების რეგულირების ცვლილება.

იგი უკვე ტარდებოდა არა ყოველთვიურად არამედ ორ თვეში ერთხელ, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა სამოქალაქო მმართველობის მიმდინარე გადაწყვეტილებებზე ზეწოლის ინსტრუმენტის სახით, საბჭოს გამოყენება. და ბოლოს, საბჭომ არმიასა და სამხედრო ელიტას წაართვა პუბლიკაციის კრიტიკის უფლება. არმიის სახე, რომელიც თურქეთში ტრადიციულად ფლობდა მაღალ ავტორიტეტს და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის სარგებლობდა საზოგადოების ბევრად უფრო დიდი ნდობით (არმიისადმი ნდობის დონე 2006 წლის მონაცემებით მერყეობდა 76-დან 91%-მდე) აშკარად დაკნინდა, ხოლო სამხედრო ელიტა კი დისკრედიტირებლი იქნა. ხელისუფლებას დაქვემდებარებული საბჭო აქვეყნებდა მრავალრიცხოვან მასალას, რომელშიც მოჰყავდათ მაგალითები თუ როგორ უპასუხისმგებლოდ იქცეოდა პირადი შემადგენლობა, ჰყვებოდნენ ხელისუფლების ჩამოგდებისა და ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის შესახებ სხვადასხვა შეთქმულებისა და გეგმების მომზადების შესახებ.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ ქემალისტური ელიტასთან მიმართებაში დაპირისპირებამ და მისმა დაკნინებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თურქეთის პოლიტიკური კლიმატის ტრანსფორმაციაზე. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ლოიალური ოპონენტი – მთავარი ოპოზიციური (ნაციონალური მოძრაობის) პარტია იძულებული გახდა ან არ მიეღო ან გაეთვალისწინებინა პოლიტიკური თამაშის შემოთავაზებული წესები. სამხედრო ელიტა, განსაკუთრებით საკადრო წმენდის შემდეგ, არმიამ დემონსტრაციულად დატოვა უმაღლესი კომანდირება და მისი ადგილი დაიკავა ლოიალურმა ხელისუფლებამ, რომელმაც ბევრი შიდა პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტაში მიიღო ხმის უფლება, რომელიც ადრე დე-ფაქტო იმყოფებოდა მისი კონტროლის ქვეშ. 2011 წლის არჩევნების შემდეგ ეროვნული უსაფრთხოების საბჭო უკვე პოზიციონირებდა, როგორც პოლიტიკური ძალა, რომელიც იძლეოდა მისი ელექტორატის ხმების გამოყენების გარანტიას, რითაც იგი ჩამოყალიბდა დომინანტურ ძალად. ხელისუფლებაში დიდი ხნით ყოფნის მიუხედავად, მისი პოპულარობა არ ქვეითდება.

II. 4. თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური სპექტრის დადებითი და უარყოფითი მხარეები

თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური სპექტრის საქმიანობას ახასიათებს დადებითი და უარყოფითი მხარეები. სოციალური პროგრამების რეალიზაციითა და შემოსავლების სამართლიანად გადანაწილების მეშვეობით ხელისუფლებაში მოქმედმა პარტიამ შეძლო ელექტორატის იმ პოტენციალის შეგროვება, რომელიც საკმარისი იქნება მომავალ არჩევნებში გასამარჯვებლად. ქვეყნის შიგნით მოქმედ პოლიტიკურ ძალთა დაშლისა და ურთიერთდაპირისპირების შედეგად თურქეთის მმართველ რეჟიმს გაუჩნდა გარკვეული მონოპოლისტური პოზიციის მოპოვების პრეტენზია, როგორც პოლიტიკურ ძალაუფლებაზე, ისე მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესზე. თურქეთის მოქმედმა ხელისუფლებამ ღიად დააფიქსირა თუ როგორ უნდა შექმნან ამ ამპიციის რეალიზაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ანუ ეს პარტია იბრძოდა პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვებას, რაც მას საშუალებას მისცემდა ინიციატივებით გამოსულიყო და კანონები მიეღო კონსესუსის მიღწევისათვის საჭირო ყოველგვარი დამატებითი ძალისხმევის გაწევის გარეშე.

მაგრამ არჩევნებზე მათ მიიღეს ხმათა 50%-ზე ოდნავ ნაკლები. მეჯლისის ახალ შემადგენლობაში სამართლიანობისა და განვითარების მოქმედმა პარტიამ მეჯლისში მიიღო 326 სადეპუტატო ადგილი, ანუ 4 ადგილით ნაკლები იმ აუცილებელ მინიმუმთან შედარებით, რაც აუცილებელი იყო ახალი კონსტიტუციის პროექტის დასამტკიცებლად სხვა პოლიტიკურ ძალებთან კოოპერაციის გარეშე. ამან აიძულა მოქმედი პარტია ეძებნა კონსტრუქციული მოკავშირეები, მაგრამ ოპოზიციასთან ღია კონფრონტაციის პირობებში როგორც მემარჯვენეებთან, ისე მემარცხენეებთან, ამ ამოცანის გადაჭრა ძალზე გართულდა. ხოლო მოსახლეობის მხრიდან ამ პარტიაზე მხარდაჭერის დონე არაა საკმარისი თურქეთის პოლიტიკური განვითარების საკვანძო პრობლემების გადაჭრისა და 1930-იან წლებში აშშ-ში ფრანკლინ რუზველტის მსგავსად „ახალი კურსის" აღებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე თურქეთის ხელისუფლებაში მოქმედი სამართლიანობისა და განვითარების მოქმედი პარტიის დადებით მხარეებს განეკუთვნება შემდეგი: 1. პარტიის პოპულარობა; 2. მმართველობის პოლიტიკური სტრატეგიის ელასტიურობა; 3. ეკონომიკური ზრდის სტაბილურად მაღალი მაჩვენებლები; 4. დიპლომატიური წარმატებები, რაც საშუალებას აძლევს თურქეთს გადავიდეს გავლენის ახალ დონეზე, როგორც რეგიონული, ისე მსოფლიო პოლიტიკის დო-

ნეზე; 5. ისლამურ რესპუბლიკაში თურქეთის გარდასახვის პროგრამების არარსებობა; 6. ფაქტიურად ფართო კოალიციის შექმნა ლიბერალებთან, ბიზნესმენებთან, და ნაციონალური მოძრაობის პარტიის გარკვეულ ნაწილთან, რომელიც ამა თუ იმ დონეზე ლოიალურები არიან მმართველ პარტიასთან მიმართებაში.

მით უმეტეს, ბოლო დრომდე არცერთ დასახელებულ დადებით მხარეს და მიღწევებს არ მიუცია მმართველი პარტიისათვის იმის საშუალება, რომ ერთპიროვნულად გადაეჭრა თურქეთის მთავარი შიდაპოლიტიკური პრობლემები, რაც ამუხრუჭებდა დემოკრატიზაციის პროცესს და განვითარების „ძველ კურსზე" უარის თქმას „ახალი კურსის" სასარგებლოდ. თურქეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის შემაფერხებელ, მთავარ შიდაპოლიტიკურ პრობლემებს (ანუ მოქმედი პარტიის ნეგატიურ მხარეებს) განეკუთვნება შემდეგი: 1. კონსესუსის არარსებობა საკვანძო საკითხებსა და ერთიან მიდგომებში; 2. საზოგადოების კეთილგანწყობილების ზრდა ქემალისტურ რევოლუციასთან მიმართებით)და, შესაბამისად ძველი რესპუბლიკის გნახლების მცდელობის ნათელი ნიშნები), რასაც თან ახლავს მოპირდაპირე პარტიაში გადასვლის განუხრელი მცდელობა, რაც ფუნდამენტალისტ ისლამებს აძლევს მმართველი პარტიის ადგილზე მოსვლის შანსს. ეს კი ერთის მხრივ, იძლევა მათი იდეოლოგიური გამოწვევების რეალიზაციის საშუალებას, ხოლო მეორეს მხრივ, მათი ქემალისტური განშტოების პოზიციების ქვეყანაში და საზოგადოებაში გაძლიერებას.

ამ დროს არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თურქეთის საზოგადოება მკაცრად დაყოფილია სწორედ ამ „პოლიტიკური ხაზის" მიხედვით. ცალკეული პარტიის მიმდევრები ბევრ საკითხთან მიმართებაში ამჟღავნებენ საერთო პოზიციას და მიეკუთვნებიან „გადამკვეთ უმრავლესობას". ამიტომ ამ ქვეყანაში ვერ შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ანტაგონისტთა მონოლითური საზოგადოება. მაგრამ ამ ჯგუფთაგან თითოეული მათგანის შეხედულებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეორეხარისხოვან საკითხებთან მიმართებაში, მათი აზრების კოორდინაციაში, შეხედულებათა სიმტკიცესა და თვითგამორკვევის შესაძლებლობებში. „დათიშულობის" პრობლემის დაძლევა თურქეთის საზოგადოებამ ვერ შეძლო 2000 წლისფართომასშტაბიანი რეფორმების გატარების დროსაც, მით უმეტეს, ამ დონესთან დაკავშიებული მოთმინება და ტოლერანტობა არა თუ გაიზარდა, არამედ პირიქით, როგორც უახლესი, სერიოზული სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებს, ბოლო დროს ეს დონე მკვეთრად დაეცა. კერძოდ, ტოლერანტობის სახიფათო ვარდნის ირიბ სიმპტომად შეიძლება ჩაითვალოს „თურქეთის ნაციონალური ღირსების" ლოგიკური გაღიზიანება დამნაშავეობის ზრდასთან დაკავშირებით.

II. 5. თურქეთში რეალიზებული ეკონომიკური მოდელის თავისებურებანი

თურქეთის ეკონომიკა ხასიათდება გახსნილობის შედარებით მაღალი დონით უცხოური კაპიტალისათვის, ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-სა და მეზობელ –სახელმწიფოებთან აქტიური სასაქონლო-ეკონომიკური და ფინანსური კავშირების დამყარების თვალსაზრისით. რეგიონში თურქეთი ფლობს მომსახურების შედარებით განვითარებულ ინფრასტრუქტურას. იგი პრაქტიკულად სრულად აკმაყოფილებს საკუთარ მოსახლეობას სურსათით ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, მედიკამენტებით, ელექტრ-საყოფაცხოვრებო ტექნიკით, ელექტრონიკით, სამშენებლო მასალებითა და ელექტროენერგიით. საერთო მშპ-სა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მშპ-ს მაჩვენებლის მიხედვით, თურქეთი კავებს ადგილს ისეთი ქვეყნების ჯგუფში, როგორიცაა: ბრაზილია, მექსიკა, პოლონეთი და რუსეთი.

2011 წელს თურქეთში ინფლაციის დონე 10%-ს აღწევდა, ხოლო უმუშევრობისა კი– 9%-ს. მშპ-ის საერთო სტრუქტურაში მომსახურების სფეროზე მოდის 72%, მრეწველობაზე–19%, ხოლო სოფლის მეურნეობაზე კი– 7%. ფოლადის დნობის მიხედვით, თურქეთი იკავებს მეათე ადგილს მსოფლიოში და მეექვსე ადგილს ევროპაში. იგი მეთხუთმეტე ადგილს იკავებს მსოფლიოში ავტომობილების წარმოების მიხედვით და მეორე ადგილს ევროპაში ტელევიზორების, საფეოქრო ნაწარმის, მინისა და ცემენტის წარმოების მიხედვით. ეს ქვეყანა შედის მსოფლიოს ხუთეულში საიუველირო ნაკეთობების წარმოების მიხედვით. 2011 წელს ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 372 მლრდ აშშ დოლარი (ექსპორტმა – 135 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა კი – 237 მლრდ აშშ დოლარი).

ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ჭარბობს ავტომობილები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მსუბუქი, ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის პროდუქცია. თურქეთის ექსპორტის თითქმის 50% მოდის ევროკავშირის წევრქვეყნებზე (თურქეთი შედის ევროპის საბაჟო კავშირში). ბოლო 30-35 წლის განმავლობაში თურქეთის ეკონომიკურმა პოლიტიკამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება. 1980-იანი წლების ბოლოს დამატებითი საბიუჯეტო ხარჯები და მასთან დაკავშირებული საბიუჯეტო დეფიციტი თურქეთის ხელისუფლების მიერ განიხილებოდა სამომხმარებლო მოთხოვნისა და მთლიანად ეკონომიკის გადარჩენის საშუალებად. საბიუჯეტო დეფიციტის დასაფინანსებლად გამოიყენებოდა ხანმოკლე უცხოური სესხები. შედეგად ეროვნული ეკონომიკის წარმატება დამოკიდებული გახდა „ცხელი ფულის" მოდინებაზე, რომელიც გამოირჩევა ეროვნული ბაზრის კონიუნქტურის გაუარესებისადმი მაღალი მგრძნობიარობით.

ამ ტიპის კაპიტალის მიგრაცია ხასიათდება მობილურობის მაღალი დონით. ეკონომიკური ზრდის მსგავსი სქემა გარდუვლად იწვევს კრიზისს, რომელიც დაატყდა თურქეთს 1994 წელს. ხელისუფლების სტაბილიზაციის ძალისხმევამ დროის ხანგრძლივ პერიოდში მათ მიერ არასათანადო პოლიტიკის არათანმიმდევრულად გატარების გამო, ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. 2001 წელს თურქეთმა განიცადა მორიგი ფინანსური-ეკონომიკური კრიზისი. მმართველობის ჯერ კიდევ პირველივე წლებში, სახელმწიფოსათვის გეგმური ფუნქციების დაკისრებისა და მოქნილი საბაზრო მექანიზმის ამოქმედების წყალობით (თურქეთში შენარჩინებულია ხუთწლიანი დაგეგმვის პრაქტიკა) სამართლიანობისა და განვითარების პარტიას მიეცა ერთდროულად სტაბილიზაციის პროგრამის რეალიზებისა და სოციალური პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობა

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა სერიოზულად განიცადა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგი, ამ ქვეყნის მმართველობამ ჯერ კიდევ 2010 წელს შეძლო მთლიაანობაში ეკონომიკური ზრდის სტაბილურად მაღალი ტემპების მიღწევა მრეწველობასა და ვაჭრობაში, და აგრეთვე დაექვეითებინა ინფლაციურ მაჩვენებელთა დაექვეითება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეკონომიკური ზრდა ძირითადად უზრუნველყოფილი იყო მზარდი შიდა მოთხოვნის ხარჯზე (თუმცა ამ სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საგარეო დაკრედიტებაც). ეს ბევრად განსაზღვრავდა მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას, სახელდობრ, ეგრეტ წოდებული ორგანიზებული სამრეწველო ზონების ჩამოყალიბების გზით (დღეისათვის წარმოება დაწყებულია 43 ორგანიზებულ სამრეწველო ზონაში), რომელიც მძლავრი სამრეწველო კომპლექსების შექმნის ხარჯზე ერთიანი ინფრასტრუქტურით აქვეითებს მეწარმეობის ხარჯებს მათი იურიდიული და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის გარეშე.

თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ნოვაციას წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების სფეროდან ეკონომიკის რეალურ სექტორში საგარეო ვალის გადანაცვლებისა და შესაბამისად მასთან დაკავშირებული რისკების პრობლემები, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დონის შეზღუდვისა და საინვესტიციო ფუნქციის კერძო სექტორზე გადაცემის გზით. სამართლიანობისა და განვითარების პარტია სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების დაბალანსებას ცდილობდა ინვესტიციური ხარჯების შემცირების გზით. თუ 2003 წელს ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების ერთიან სისტემაში ძირითადი კაპიტალი შეადგენდა მშპ-ის 7,2%-ს, 2010 წლებში ამ მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ 3-4%. მთავრობა საერთოდ არ ცდილობდა გაეზარდა სახელმწიფო მოხელეთა ხელფასი.

თემა III. თურქეთის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა

III. 1. თურქეთის რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ისტორიული ასპექტი

თურქეთის რესპუბლიკამ თავისი განვითარების ძალზე სპეციფიკური და საინტერესო ისტორიული გზა განვლო. იგი ერთ-ერთი უძველესი და განუწყვეტ-ლივ დასახლებული ქვეყანაა მსოფლიოში მისი ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობის გამო. ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ თურქების წინაპრები – ანატოლიელები ინდოევროპულ,სემიტურ და ქართველურ ენებზე მეტყველებდნენ. ზოგიერტი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ანატოლია უნდა იყოს ის რეგიონი, საიდა-ნაც გავრცელდა ინდო-ევროპული ენები. სპარსეთის აქემენიდების იმპერია ძვ. წ. აღრიცხვით 334 წელს ალექსანდრე დიდმა დაიპყრო. ანატოლია შემდეგ რამდენი-მე მცირე ელენისტურ სამეფოდ დაიშალა (მათ შორის ბითინიად, კაბადოკიად, პერგამონად და პონტუსად), რომლებიც რომის იმპერიის ვასალები გახდნენ. 324 წელს, რომის იმპერატორმა კონსტანტინე I-მა იმპერიის ახალ დედაქალაქად აი-რჩია ბიზანტიუმი. მას მოგვიანებით კონსტანტინოპოლი და სტამბოლი დაარქვა.

სელჩუკთა გვარი „კინიკ” ოღუზ თურქთა ერთი განშტოება იყო, რომელიც IX საუკუნეში მაჰმადიანური სამყაროს პერიფერიაში, კასპიისა და არალის ზღვების ჩრდილოეთით სახლობდა ოღუზთა კონფედერაციის იაბღუს სახანოში. X საუკუნეში სელჩუკებმა მიგრაცია დაიწყეს მათი წინაპრების სამშობლოდან ანატოლიის აღმოსავლეთ რეგიონებისაკენ, რაც საბოლოოდ ოღზ თურქ თემთა ახალი სამშობლო გახდა 1071 წელს მანციკერტის ბრძოლის მოგების შემდეგ. სელჩუკთა გამარჯვებამ საფუძველი დაუდო კონიის სასულთნოს (ანატოლიის სელჯუკთა სასულთნო), რომელიც ცენტრალური აზიის, ირანისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ტერიტორიებს მოდებული უფრო ვრცელი სელჩუკთა იმპერიის განშტოება გახდა. 1243 წელს სელჩუკთა არმია მონღოლებმა დაამარცხეს.

შესაბამისად მათი იმპერიის გავლენა თანდათან დაკნინდა. ამ პერიოდში ერთ-ერთი თურქული სამთავრო, რომელსაც ოსმან I მმართველობდა, თანდათან ოსმალეთის იმპერიად გადაიქცა, შეავსო რა პოლიტიკური ვაკუუმი დაკნინებულ სელჩუკთა და ბიზანტიელებს შორის. 623 წლიანი ისტორიის განმავლობაში ოს-მალეთის იმპერიას მჭიდრო კავშირები ჰქონდა დამყარებული როგორც აღმოსავ-ლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებთან. XVI – XVIII საუკუნეებში ის უკვე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური გაერთიანება გახდა, რომელიც ხმელეთით რომის იმპერიას ეჯიბრებოდა და დამაჯერებლად იკვლევ-

და გზას ცენტრალური ევროპისაკენ ბალკანეთისა და პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობის სამხრეთ ნაწილის მითვისებით, ხოლო წყლით ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობაში ეცილებოდა ესპანეთის, ვენეციის რესპუბლიკისა და წმინდა იოანეს რაინდების გაერთიანებულ ძალებს. ამასთან ხშირად ეწინააღმდეგებოდა პორტუგალიის ხომალდებს ინდოეთის ოკეანეში აღმოსავლეთ აზიასა და დასავლეთ ევროპას შორის უძველეს საზღვაო სავაჭრო გზებზე იმპერიის მონოპოლიის დასაცავად (რამაც მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა 1488 წელს კეთილი ნების კონცხის აღმოჩენის შემდეგ). ძალაუფლების წლების დაკნინების ბოლო ფაზაში ოსმალეთის იმპერია I მსოფლიო ომში ჩაერთო 1914 წელს ოსმალეთ-გერმანიის ალიანსში გაერთიანებით, და საბოლოოდ დამარცხდა კიდეც. იმის შემდეგ გამარჯვებულმა მეკავშირეებმა ოსმალეთის სახელმწიფოს დანაწილება მოინდომეს.

სტამბოლისა და იზმირის ოკუპაციამ მოკავშირეების მიერ პირველი მსოფლიო ომის ბოლოს გააღვივა თურქული ეროვნული მოძრაობა. მუსტაფა ქემალ ფაშას (ეს იყო სამხედრო ხელმძღვანელი, რომელმაც თავი გამოიჩინა გალიპოლის ბრძოლაში) მეთაურობით გაჩაღდა თურქეთის დამოუკიდებლობის ომი, რომლის მიზანიც იყო სერვის ხელშეკრულების პირობების გაუქმება. 1922 წლის 18 სექტემბრისათვის საოკუპაციო ჯარები საბოლოოდ იქნა განდევნილი და ამის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი თურქული სახელმწიფო. ამავე წლის 1 ნოემბერს ახლად დაფუძნებულმა პარლამენტმა ფორმალურად გააუქმა სასლუთნო, რითაც დასრულდა ოსმალეთის 623 წლიანი მმართველობისა და ბატონობის პერიოდი.

1923 წლის 24 ივლისს დადებულმა ლოზანის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა ახლად დაფუძნებული „თურქეთის რსპუბლიკის" სუვერენულობის საერთაშორისო აღიარებას, როგორც ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრე ქვეყანას. თურქეთის რესპუბლიკა ოფიციალურად გამოცხადდა 1923 წლის 29 ოქტომბერს ახალ დედაქალაქ ანკარაში. შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა მუსტაფა ქემალი, რომელმაც გაატარა მრავალი რადიკალური რეფორმა, რათა ოსმალეთის წარსულის ნარჩენებისაგან დაეარსებინა ახალი სეკულარული რესპუვბლიკა. გვარების კანონის მიხედვით თურქეთის პარლამენტმა მუსტაფა ქემალს მიუძღვნა საპატივცემულო სახელი „ათათურქი" (რაც ქართულად ნიშნავს „თურქეთის მამას"). 1934 წელს თურქეთმა მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეების მხარე დაიჭირა. 1945 წლის 23 თებერვალს იგი გაეროს ქარტიის წევრი გახდა. 1945 წელს საბერძნეთში კომუნისტების აჯანყებისა და საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთის სრუტეებში სამხედრო ბაზების განთავსების მოთხოვნის წაყენების გამო აშშ-მა 1947 წელს გამოაცხადა ტრუმენის დოქტრინა.

III. 2. თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები

ტრუმენის დოქტრინა ხაზს უსვამდა ამერიკის მიერ თურქეთისა და საბერძნეთის უსაფრთხოების გარანტიის დაცვას, რომლის საფუძველზეც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდძალი სამხედრო და ეკონომიკური დახმარება გაუწია ამ ორ ქვეყანას. კორეის კონფლიქტში გაეროს ძალებთან მონაწილეობის შემდეგ 1952 წელს თურქეთი გახდა ნატოს წევრი, რითაც ბოლო მოუღო ხმელთაშუა ზღვაში საბჭოთა ექსპანსიის მცდელობას. კვიპროსის კუნძულზე ათწლიანი ეთნიკური კონფლიქტისა და 1974 წლის საბერძნეთის ბუნტის შემდეგ, რომელმაც პრეზიდენტი მაკარიოსის ნაცვლად დიქტატორი ნიკოს სამპსონი მოიყვანა ქვეყნის სათავეში, თურქეთი შეიჭრა კუნძულზე. 9 წლის შემდეგ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა ჩამოყალიბდა, რომელსაც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დღემდე მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკა სცნობს.

1945 წელს ერთპარტიული პერიოდის დასრულების შემდეგ მრავალპარტიულობის დამყარებამ მოიტანა პოლიტიკური სირთულეები. სიტუაცია განსაკუთრებით გართულდა 1960-1980-იან (კერძოდ, კი 1960, 1971, 1980 და 1997 წლებში რამდენიმე გადატრისლების მცდელობის გამო. თურქეთის ეკონომიკის ლიბერალიზაციამ 1980-იან წლებში თითქმის სრულიად შეცვალა ქვეყანა, რასაც პერიოდული სწრაფი ზრდისა და კრიზისის წლები მოჰყვა მომდევნო ათწლეულებში. თურქეთს მრავადარგოვანი ეკონომიკა აქვს, რომელშიც „შეზავებულია" ეკონომიკის მართვისადმი აზიური და ევროპული ელემენტები. ასე მოხდა ოღუზ თურქების, ანატოლიელების, ოსმალების (რაც, თავის მხრივ, ბერძნულ რომაული და ისლამური კულტურების გაგრძელება იყო) და დასავლეთის კულტურებისა და ტრადიციების შერწყმის შედეგად თურქეთის კულტურის ფორმირებაც. ეს პროცესი დაიწყო ოსმალეთის იმპერიის ვესტერნიზაციის შედეგად, რაც გრძელდება დღემდე.

ეს პროცესი თურქებისა და მათი კულტურის იმ ხალხთან ურთიერთობის შედეგი იყო, რომელთაც ისინი თავიანთი მიგრაციის გზაზე ხვდებოდნენ ცენტრალური აზიიდან დასავლეთისაკენ. რელიგიაზე დაფუძნებული ყოფილი ოსმალეთის იმპერიიდან თურქეთის თანამედროვე სახელმწიფოდ წარმატებულ ტრანსფორმაციას, რომელშიც ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამიჯნული სახელმწიფო და რელიგია, მოჰყვა ხელოვნების გამოხატვის მეთოდების განვითარება და სრულყოფა. თურქეთის რესპუბლიკის პირველი წლების განმავლობაში მთავრობამ დიდძალი რესურსები დააბანდა ნატიფ ხელოვნებაში (მუზეუმებში, თეატრებში, ოპერასა და არქიტექტურაში). ვინაიდან თანამედროვე თურქული თვითმყო-

ფადობის განსაზღვრაში მრავალი ისტორიული ფაქტორი თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. თურქული ეკონომიკა ძირითადად თანამედროვეობისა და დასავლურობის მიღწევის მცდელობის შედეგია, რაშიც შერწყმულია ტრადიციული, ისტორიული ეკონომიკური ფასეულობების შენარჩუნების საჭიროება.

თურქეთის ეკონომიკაზე კულტურულ გავლენათა შესანიშნავი გამოხატულებაა თურქული მუსიკა და ლიტერატურა, რაც ოსმალეთის იმპერიისა და მაჰმადიანური სამყაროს ევროპასთან ურთიერთობის შედეგია. თურქულ ლიტერატურაზე კი თავის მხრივ უდიდეს გავლენას ახდენდა სპარსული და არაბული ლიტერატურა თითქმის მთელი ოსმალეთის იმპერიის პერიოდში, თუმცა ამ პერიოდის დასასრულს თანზიმატის პერიოდში სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა თურქულ ეკონომიკაზე ევროპული მეთოდებით მართვის გავლენის ზრდა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კულუტურული გავლენების ნაზავი ასახულია „კულტურათა შეჯახების ახალი სიმბოლოების“ ფორმით ორჰან ფამუქის მხატვრულ ნამუშევრებში. თურქეთში ნაპოვნი არქიტექტურული ელემენტები ასევე მოწმობს ტრადიციების იმუნიკალურ ნაზავს, რომელიც გავლენას ახდენდა რეგიონზე მრავალი საუკუნის განმავლობაში. ტრადიციულ ბიზანტიურ ელემენტებთან ერთად, რისი ნიმუშებიც უხვადაა თურქეთის მრავალ რეგიონში, გვიანდელი ოსმალური არქიტექტურის ექსპონატები, მათში ადგილობრივი და ისლამური ტრადიციების საუცხოო ნაზავით, მთელ ქვეყანაშია მიმოფანტული, ისევე როგორც ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე. სინანი იყო ოსმალეთის ერთ-ერთი ხუროთმოძღვარი. XVIII საუკუნიდან თურქეთის ეკონომიკაზე სულ უფრო მძლავრ გავლენას ახდენს მეურნეობის მართვის დასავლური სტილი. ეს თვალსაჩინოა სტამბოლში, სადაც ისეთი ნაგებობები, როგორიცაა სულთან აჰმედის მეჩეთი და დოლმაბაჰჩეს სასახლე დგას თანამედროცე ცათამბჯენებთან.

თურქეთია მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალო 1,31 %-ით იზრდება. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა 92 ად. კვ. კმ-ზე. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 70,5%. 15-64 წლის ასაკის მოსახლეობის წილი 66,5%, ხოლო 14 წლამდე ასაკისა – 26,4%, დანარჩენი კი არის 65 წელზე ზევით. თურქეთში ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობაა 71 წელიმამაკაცებისათვის, ხოლო 75 წელი კი ქალებისათვის, რაც საშუალოდ მთელი მოსახლეობისათვის აღწევს 73 წელს. განათლება სავალდებულო და უფასოა 6-დან 15 წლამდე ბავშვებისათვის. წერა-კითხვის გავრცელების დონეა 95,3% მამაკაცებისათვის, ხოლო 79,6% კი ქალებისათვის, რაც საშუალოდ 87,4%-ია. დაბალი მაჩვენებელი ქალებისათვის განპირობებულია არაბებისა და ქურთების ისტორიული ტრადიციებით.

III. 3. ეთნიკური უმცირესობის, ტურიზმისა და სპორტის გავლენა თურქეთის ეკონომიკურ განვითარებაზე.

თურქეთის ეკონომიკის შემოსავლების ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობათა მიერ ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ განხორციელებული სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. ამიტომ საინტერესოა თურქეთის ეთნოსის სტრუქტურული შემადგენლობის ანალიზი. თურქეთის ეთნიკურ შემადგენლობაზე სარწმუნო მონაცემები არ არსებობს. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 66 მუხლი „თურქს" განსაზღვრავს როგორც ნებისმიერ ადამიანს, რომელიც თავისი მოქალაქეობრივი ვალდებულებით ემორჩილება თურქეთის სახელმწიფოს. შესაბამისად ტერმინის–„თურქის" ლეგალური მნიშვნელობა განსხვავდება მისი ეთნიკური განსაზღვრებისგან. მიუხედავად ამისა, თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკურად თურქია.

თურქეთის ეკონომიკურ განვითარებაზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის ისეთი დარგი, როგორიცაა ტურიზმი. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მულტიპილკაციურ ეფექტს იძლევა თურქეთის ეკონომიკის შემოსავლებისა და ხარჯების ერთიან წრებრუნვაში. ამ ქვეყანაში კარგად არის განვითარებული როგორც ტურისტული სერვისი, ისე ტურისტული ინფრასტრუქტურაც.. ეს არის გამოწვეული იმით, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალი ზღვისპირა კურორტი და ატრაქციონია. ტურიზმის მხრივ აღსანიშნავია შემდეგი ქალაქები: სტამბოლი (გამოირჩევა ისტორიული ძეგლებით, ისლამური და ბიზანტიური არქიტექტურით), კაბადონია (გამოირჩევა ბუნებრივი ფორმირების ვულკანური წარმოშობის და მთის ქალაქებით), ეგეოსის ზღვა (გამოირჩევა ძეგლების უძველესი კულტურული ნანგრევებით, ძველი ბერძნული და რომაული ქალაქებით), ხმელთაშუა ზღვის სანაპირო, მერსინი, ანტალია (რომელიც ცნობილია კურორტებით თურქეთის სამხრეთ სანაპიროზე). ტურისტული კომპანიები ძირითადად მუშაობენ ანტალიის, ქემერის, ალანიის და სხვა ქალაქების მიმართულებით. ბოლო წლებში სულ უფრო პოპულარული ხდება მერსინი. გარდა ამისა, არსებობს უამრავი ტურისტული სააგენტო, რომელიც საშუალებას აძლევს მსურველებს, ადგილზე დაჯავშნონ ტური. თურქეთში ყველაზე პოპულარული სპორტია ფეხბურთი.

თურქეთის რესპუბლიკაში კარგად არის განვითარებული სპორტის მიმართულებაც, რაც საკმაოდ დიდ ფინანსურ შემოსავლებს აძლევს ქვეყნის ეკონომიკას. ამ ქვეყნის ყველაზე წარმატებული საფეხბურთო კლუბებია გალათასარაი, ფენერბაჰჩე და ბეშიქთაში. 2000 წელს გალათასარაიმ დაიმკვიდრა საკუთარი ად-

გილი ევროპის უმთავრეს კლუბებს შორის უეფას თასისა და ურფას სუპერ-თასის მოგებით. ორი წლის შემდეგ თურქეთის ეროვნულმა ნაკრებმა 2002 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატში მესამე ადგილი აიღო. 2008 წელს კი თურქეთის ეროვნული ნაკრები უეფას „ევრო-2008"-ის ნახევარფინალში გავიდა. ათათურქის ოლიმპიური სტადიონი მასპინძლობდა 2005 წლის უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მაჩტს, ხოლო შიურქუ სარაქოღლუს სტადიონი 2009 წლის უეფას თასის ფინალს. სხვა პოპულარულ სპორტის სახეობათა შორისაა კალათბურთი და ხელბურთი. თურქეთი მასპინძლობდა EuroBasket 2001-ს და 2010 წელს ფიბას მსოფლიო ჩემპიონატს. . მამაკაცთა ეროვნულმა საკალათბურთო ნაკრებმა EuroBasket 2001-ში მეორე ადგილი მოიპოვა, ხოლო 2006 წლის ფიბას მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხედფინალს მიაღწია, ამასთან, 2000 და 2001 წლებში თურქეთის საკალათბურთო ნაკრები გავიდა შესაბამისად ევროლიგასა და სუპერლიგაში. თურქი კალათბურთელები წარმატებით გამოდიან NBA-ში. ქალთა ხელბურთის გუნდებს მრავალი ევროპული საჩემპიონატო ტიტულები და მედლები აქვთ მიღებული. ოსმალეთის პერიოდიდან დაწყებული თურქეთის ტრადიციული ეროვნული სპორტია იაღლი გიურეში (გაქონილი ჭიდაობა). ედირნე მასპინძლობს ამ სახეობის ჭიდაობის ყოველწლიურ ტურნირს 1361 წლიდან. თურქეთში იმართება ასევე საერთაშორისო (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული) სტილის ჭიდაობებიც. ამ სახეობებში თურქებს მრავალი ევროპული და ოლიმპიური ტიტულები აქვთ მოპოვებული, როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად. სპორტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახეობა, რომელშიც წარმატებით გამოდიან საერთაშორისო ასპარეზზე თურქი სპორტსმენები, არის ძალოსნობა. თურქ, მძიმე ათლეტებს მრავალი მსოფლიო რეკორდი აქვთ მოხსნილი და მოპოვებული აქვთ მრავალი ევროპული, მსოფლიო და ოლიმპიური საჩემპიონატო ტიტულები. ბოლო დროს თურქეთში სულ უფრო პოპულარული ხდება მოტოსპორტი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თურქეთის რალი ცართული იქნა FIA-ს მსოფლიო რალის ჩემპიონატის კალენდარში 2003 წელს, და თურქეთის გრან-პრის ფორმულა I-ის რბოლების კალენდარში ჩართვის შემდეგ 2005 წელს. სხვა მნიშვნელოვან მოტოსპორტის ყოველწლიურ ღონისძიებათა შორის, რომლებიც ტარდება სტამბოლის პარკის რბოლის წრეზე, არის MotoGP თურქეთის გრანპრი, FIA-ს მსოფლიო ტურის ავტომანქანების ჩემპიონატი – gp-2 და le-mans სერია. პერიოდულად სტამბოლი და ანტალია მასპინძლობს საჰაერო სრბოლასაც, რომელიც ტარდება სტამბოლის ოქროს რქის თავზე. აქვე ტარდება სერფინგი, სნოუბორდინგი, სკეიტბორდინგი, პარაგლაიდინგი და ექსტრემალური სპორტის სხვა სახეობები

III. 4. სამხედრო სექტორის განვითარების როლი თურქეთის ეკონომიკაში

თურქეთის ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო დაკვეთებიც (G), მით უფრო ისეთ სტრატეგიულ დარგში, როგორიცაა სამხედრო სექტორი. თურქეთის თავდაცვის სტრატეგიის განვითარებით დაინტერესებულია არა მარტო ამ ქვეყნის, არამედ აშშ-ს ხელისუფლებაც, რადგანაც ძლიერი თურქული შეიარაღება ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ტერორიზმიდან და რუსული აგრესიისაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა არა მარტო თურქეთის არამედ დასავლეთისა და თავად აშშ-ს უსაფრთხოებისათვის. ამიტომ, აშშ, ნატო და ევროკავშირის ქვეყნები არ იშურებენ ფინანსურ სახსრებს თურქეთის სამხედრო ინდუსტრიისა და შეიარაღების განვითარებისათვის.

თურქეთის შეიარაღებული ძალები შედგება არმიის, ფლოტის და საჰაერო ძალებისაგან. ჟანდარმერია და სანაპირო დაცვა მშვიდობიან პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ხოლო საომარ პირობებში ისინი გადადიან არმიისა და ფლოტის განკარგულებაში. ომის დროს ჟანდარმერიასა და სანაპირო დაცვას ეკისრება შინაგანი წესრიგის დაცვისა და სამხედრო ძალებზე დახმარების გაწევის ფუნქციები. თურქეთის შეიარაღებული ძალები სიდიდით მეორეა ნატოში, აშშ-ის შეიარაღებული ძალების შემდეგ 1 მლნ უნიფორმიანი პერსონალით მის ხუთ განყოფილებაში. თურქეთის ყოველი ჯანმრთელი მამაკაცი ვალდებულია გარკვეული (სამი კვირიდან თხუთმეტ თვემდე) პერიოდის განმავლობაში გაიაროს სამხედრო სამსახური, განათლების მიხედვით. ვალდებულება ყველაზე ვრცელდება და ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური არ არსებობს.

2009 წლისათვის თურქეთი ნატოს ხუთი წევრიდან ერთ-ერთი ქვეყანა იყო, რომელიც ალიანსის ბირთვული განაწილების პოლიტიკის ნაწილი იყო ბელგიასთან, გერმანიასთან, იტალიასა და ნიდერლანდებთან ერთდ. თურქეთში ინჩირლიკის ავიაბაზაზე სულ 90 B61 ტიპის ბირთვული ბომბი არის განთავსებული, რომელთაგან ორმოცი გამოსაყენებლად გამოყოფილია თურქეთის საჰაერო ძალებისათვის. 1998 წელს თურქეთმა გამოაცხადა მოდერნიზაციის პროგრამა, რომლის მიხედვით 20 წლის განმავლობაში 160 მილიარდი დოლარის ღირებულების სხვადასხვა პროექტი უნდა განხორციელებულიყო. მათ შორის იყო ახალი ტანკები, მოიერიშეები, წყალქვეშა გემები და სხვა. თურქეთი ასევე მესამე დონის წვლილის შემტანია ერთობლივი დარტყმის მოიერიშე პროგრამაში. თურქეთის ჯარები ნატოსა და გაეროს საერთაშორისო მისიებში 1950 წლიდან მონაწილეობს, მათ შორის სამშვიდობო მისიებში სომალისა და ყოფილ იუგოსლავიაში

ასევე დამხმარე კოალიციურ ძალებში სპარსეთის ყურის პირველ ომში. თურქეთის 36 ათასი ჯარისკაცია განლაგებული ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში. მისი ჯარები ასევე დისლოცირებულია ავღანეთში 2001 წლიდან.

2006 წელს თურქეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით ლიბანში გაეროს შუალედური ძალების მანდატით განლაგდა საზღვაო პატრულირების გემები და 700 სახმელეთო ჯარისკაცი 2006 წლის ისრაელ-ლიბანის კონფლიქტის შემდეგ. თურქეთის გენერალური შტაბის უფროსს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი და ის პრემიერ-მინისტრის წინაშეა ანგარიშვალდებული. მინისტრთა საბჭო ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე ეროვნული უშიშროების საკითხებში ქვეყნის დაცვისათვის შეიარაღებული ძალების ადეკვატურ მომზადებაში. მიუხედავად ამისა, ომის გამოცხადებისა და თურქეთის შეიარაღებული ძალების უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგების ან უცხო ქვეყნის ძალების თურქეთის ტერიტორიაზე განლაგების გადაწყვეტილების პრეროგატივა ეკუთვნის პარლამენტს. 2008 წლიდან შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელია გენერალური შტაბის მეთაური.

თურქეთის თავდაცვის რიგებს ავსებს ისეთი ეთნიკური ჯგუფები, როგორიცაა ქართველები, აფხაზები, ალბანელები, არაბები, სირიელები, ბოსნიაკები, ჩერქეზები, ქურთები, ლაზები, პომახები, ბოშები და სამი (ლოზანის ხელშეკრულებით) ოფიციალურად აღებული უმცირესობა –სომხები, ბერძნები და ებრაელები. თურქეთში ცხოვრობს აფრო-თურქებიც. მათი უმეტესობა დასავლეთის სანაპირო ქალაქებში იცავენ ქვეყანას. დასავლეთ ევროპელ უმცირესობათა შორის არიან ლევანტინები (ძირითადად ფრანგი, გენუელი და ვენეციელი წარმოშობის), რომლებიც ქვეყანაში (ძირითადად სტამბოლსა და იზმირში) იცავენ ქვეყანას შუასაუკუნეების პერიოდიდან. XIX საუკუნიდან მოყოლებული თურქეთის თავდაცვის საჯარისო ფორმირებებს ავსებს ასევე გერმანელები და სტამბოლის პოლონელები. ამ ქვეყნის საჯარისო ფორმირებებს აძლიერებს ქურთებიც, რომელთა უმრავლესობა კონცენტრირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციეში. ის უდიდესი არათურქული ეთნიკური ჯგუფია, რომელიც იცავს ქვეყნის უსაფრთხოებას. უმცირესობებს არა აქვთ რაიმე ეთნიკური პრივილეგია თურქეთის ჯარში. ამრიგად, თურქეთის სამხედრო სექტორი საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ამ ქვეყნის სამრეწველო სექტორის განვითარებაზე. სამხედრო ტექნიკის დამზადება მოითხოვს დამატებით დაკვეთებს ეკონომიკის სხვა სექტორებიდან, რომლებიც დეტალებით ან ნახევრფაბრიკატებით ამარაგებს თურქეთის თავდაცვის შეიარაღებას. ამიტომ ტურიზმის მსგავსად თურქეთის სამხედრო ინდუსტრია ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის განმსაზღვრელი ერთიერთი უმთავრესი სექტორია.

III. 5. თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები

თურქეთი სახელმწიფო მოხელეთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეულ ხარჯებს სტაბილურად ინარჩუნებდა ბიუჯეტის საერთო ხარჯების დაახლოებით 20%-ის დონეზე. მაგრამ იმავდროულად მმართველობა შესამჩნევად ზრდიდა ჯანდაცვაზე, საპენსიო უზრუნველყოფასა და სოციალურ დახმარებაზე გაწეულ ხარჯებს, რითაც სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამების ძირითადი ნაწილი მიმართული იყო საზოგადოების ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაზე. ამ დროს მკვეთრად გაიზარდა როგორც დახმარების მოცულობა, ისე მისი გავრცელების მასშტაბი. შედეგად მმართველობამ მოიხვეჭა საიმედო პოზიციები „თავის" ამომრჩეველში და ფაქტიურად დაიზღვია თავი „არაბული გაზაფხულის" სცენარით მოვლენების განვითარებისაგან.

თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკის ძლიერ მხარეებს განეკუთვნება შემდეგი: 1. ეკონომიკური აქტივობის მაღალი დონე, რაც აისახება შიდა მოთხოვნის სტაბილურ ზრდაში. ის ასტიმულირებს სარგებლის განაკვეთების დაქვეითებას, კაპიტალის სტაბილურად შემოდინებას, საბანკო სექტორის სწრაფ გადიდებას; 2. ეკონომიკურ ზრდაში ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა მსხვილი სექტორის სოლიდარული ჩართვა; 3. ექსპორტის მდგრადი ზრდა; 4. სახელმწიფო სავალუტო რეზერვების ზრდის ტენდენცია; 5. საგადასახადო შემოსავლების ზრდა; 6. უმუშევრობის დონის შემცირება. დასაქმების დონე მით უფრო სწრაფად იზრდება ახალგაზრდებში, ეს შედეგი მიღწეული იქნა იმის ხარჯზე, რომ სახელმწიფო დასაქმების დროს უპირატესობას ანიჭებდა მოსახლეობის სწორედ ამ ჯგუფს.

იმავდროულად, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევითა და მის ფონზე საკმაოდ მდგრადი ზრდის უზრუნველყოფით, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლებამ ვერ შელო გადაეჭრა თურქეთის ეკონომიკის ძირითადი პრობლემა – დაეძლია დაფინანსების საგარეო წყაროზე ეკონომიკური განვითარების დამოკიდებულება. მით უმეტეს ამ პარტიის მმართველობის დროს ეს დამოკიდებულება შესამჩნევად გაძლიერდა. 2011 ქვეყნის საგარეო დავალიანებამ მიაღწია 310 მილიარდ აშშ დოლარს, რაც შეადგენდა მისი მშპ-ის 42%-ს. ამას ემატება თურქეთის ეკონომიკის ისეთი დაძველებული და ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები, როგორიცაა: 1. „ჩრდილოვანი სექტორის" მაღალი დონე (სხვადასხვა შეფასების მიხედვით ეს მაჩვენებელი მერყეობს 23%-დან 45%-მდე); 2. მაღალი სოციალური დანახარჯები (ქვეყნის მოსახლეობის 30% ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ხოლო 13,5 % კი „შიმშილობის" ზღვარს ქვე-

მოთ; 3. ტრადიციულად ძალზე მაღალია რეგიონების მიხედვით შემოსავლების განაწილებაში არსებული უთანასწორობის დონე, რომლის ნიველირებასაც მთავრობა ცდილობს დოტაციური პაკეტებით (გადასახადებისაგან გათავისუფლებით, საწარმოების აგებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფით და ა. შ).

აგრეთვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თურქეთის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნება როგორც აქამდე დაგროვილ ეკონომიკურ „ბაზისზე", ისე თურქეთის მთავრობის მიერ კრიზისულ პირობებში აქტიური მოქმედებისა და მის პროგრამებსა და სტრატეგიებში კორექტივების დროულად შეტანის უნარზე. აგრეთვე გაურკვეველია ისიც, თუ როგორ შეძლებს თურქეთი არამარტო აღიდგინოს, არამედ გაიუმჯობესოს კიდეც მისი პოზიციები მკაცრი კონკურენციის პირობებში რეგიონის (მაგალითად, აზიაში, სადაც „გაყინული" (შეჩერებული) თურქული კონტრაქტების ჯამურმა მოცულობამ, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, შეადგინა დაახლოებით 15-18 მლრდ აშშ დოლარი) ხელისუფლებაში ახალი ელიტის მოსვლის შემთხვევაში.

მაგრამ თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკის ამ სუსტი მხარეების ნაწილობრივ აბალანსებს ზოგადად მსოფლიო ეკონომიკისა და კერძოდ მისი მოწინავე ქვეყნების ეკონომიკების ვარდნის ტენდენციების ფონზე თურქეთის ცალკეული დარგის სტაბილურად მზარდი განვითარება. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ თურქეთის საავტომობილო მრეწველობის განვითარება. თურქეთის საავტომობილო მრეწველობა ხასიათდება მაღალი საინვესტიციო აქტივობით. 2014 წელს ავტომობილების შიდა გაყიდვების მოცულობა თურქეთში წინა წელთან შედარებით გაიზარდა 15%-ით, ხოლო ამ პროდუქციის გამოშვების დონემ გადააჭარბა 1,2 მლნ ავტომობილს. სამეწარმეო სიმძლავრეების დატვირთვის კოეფიციენტმა შეადგინა 96%, წინა წლის მაჩვენებლის – 86%-ის ნაცვლად.

კომპანია რენაულტმა თურქეთის საავტომობილო ინდუსტრიაში დამატებით დააბანდა 200 მლნ აშშ დოლარი, ბურსაში ავტომობილების ყოველწლიური გამოშვების 280 ათასიდან 350 ათას ერთეულამდე გაზრდის მიზნით. ამ ავტომობილების გამოშვების რეალურმა დონემ 2014 წელს შეადგინა 320 ათასი ერთეული, რომლის ნამატი პროდუქციაც ორიენტირებულია საგარეო ბაზარზე რეალიზაციისათვის. ჰონდას კომპანიის თურქეთში მოღვაწე ფილიალის სამეწარმეო პროგრამა მოიცავს ავტომობილების წარმოებისათვის 80 მლნ დოლარის დახარჯვას, რაც გამოიწვევს წარმოების ზრდას 50 ათასი ერთეულიდან 100 ათას ავტომობილამდე, განსაკუთრებით აქცენტი კეთდება ადგილობრივ ბაზარზე მოქმედ უცხოურ საავტომობილო კომპანიებთან ერთობლივ საწარმოთა ორგანიზებაზე.

თემა IV. თურქეთის სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ევოლუცია

IV. 1. თურქეთის ეკონომიკის მოდერნიზაციის აუცილებლობა

თურქეთის ეკონომიკის მოდერნიზაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ადგილობრივ ეკონომიკაში სტრუქტურული ძვრების განხორციელება, განვითარების დონის მიხედვით ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და მოწინავე ქვეყნების რიგში ჩადგომა და თანამედროვე მსოფლიოს უახლეს ინოვაციურ პროცესებში ჩართვა. ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს მშპ-სა და ექსპორტში მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის ხვედრითი წილის გაზრდას. თურქეთის ეკონომიკის მოდერნიზაციის პროცესი თანამედროვე ეტაპზე არ იყო სწორხაზობრივი. ამ პროცესს თან ახლდა მთელი რიგი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები. სახელმწიფო ხარჯების დაუბალანსებლობამ, „ცხელი ფულის" მოდინებამ და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არასტაბილურად მოწოდებამ, ინფლაციის მაღალმა ტემპებმა (ზოგიერთ წელს ის 100%-საც აღწევდა), გამოიწვია კრიზისები 1991 წელს, 1994 წელს, 1998 წელს და 2000-2001 წლებში.

ამ კრიზისებიდან გამოსვლის შემდეგაც კი ისლამური პარტიის ხელისუფლებამ ხოლო 2002 წელს სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ერდოღანის მეთაურობით არ შეცვალა მოდერნიზაციის ძირითადი ვექტორი, უპირველეს ყოვლისა „ვესტერნიზაციის" კურსი. სამართლიანობისა და განვითარების პარტია მხარს უჭერს ბიზნესის ისლამურ ფორმას. შესაბამისად ხელისუფლება ცდილობს ბიზნესის ისლამური ფორმა მოიყვანოს ევროპულის ანალოგიურ საკანონმდებლო საფუძვლებთან შესაბამისობაში, რაც საშუალებას მისცემს თურქეთს გააგრძელოს ევროკავშირში გაწევრიანების სტრატეგიული კურსი, დაკრედიტებასა და ბიზნესთან მიმართებაში ისლამური მოთხოვნების დაცვის პირობებში.

ამრიგად, თურქეთის სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ევოლუციამ, მისმა გადასვლამ ფუნდამენტალიზმიდან განვითარების საბაზრო ფაქტორებზე 2002-2010 წლებში ფართომასშტაბიანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი წარმატებები ქვეყნის ეკონომიკაში. რადიკალურად შეიცვალა მთლიანი შიდა პროდუქციის სტრუქტურა, რომელიც სულ უფრო უახლოვდება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურას. 2010 წელს თურქეთმა მე16-ე ადგილი დაიკავა მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობის მიხედვით. მშპ-ის საშუალოწლიური ზრდის ტემპმა 2000-2010 წლებში შეადგინა 4,7% (მსოფლიო ეკონომიკის 2,8%-იანი ზრდის პირობებში).

მრეწველობის ხვედრითი წილი თურქეთის მთლიან ეკონომიკაში 1980 წლიდან 2010 წლამდე გაიზარდა 18,6%-დან 26,1%-მდე. ლიბერალიზაცია შეეხო მრეწველობის პრაქტიკულად ყველა დარგს, რამაც ხელი შეუწყო ხელსაყრელი პირობების შექმნას ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. მრეწველობის მოდერნიზაცია განხორციელდა ტექნოლოგიების და თანამედროვე დანადგარების დაკრედიტების გზითბიზნესის ქცევის თანამედროვე ფორმების დანერგვით, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვების ზრდით, რაც დადებითად აისახა თურქეთის სამრეწველო პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. უცხოური ტექნოლოგიების და გამოცდილების გამოყენებამ განაპირობა მრეწველობის ახალი, დინამიურად განვითარებადი დარგების ჩამოყალიბება.

თურქეთის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა მშპ-სთან მიმართებაში (%-ებში) მიმდინარე ფასებში გამოიყურება შემდეგნაირად: თუ 1980 წელს სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი საერთო მშპ-სთან მიმართებაში შეადგენდა 25,8%-ს, მრეწველობისა –18,6%-ს, ხოლო მომსახურების სფეროს კი – 55%-ს, 1990 წელს ანალოგიური მაჩვენებლები იყო შემდეგნაირად აგრო-სექტორის წილი შეადგენდა 17%-ს, მრეწველობის – 25%-ს, ხოლო მომსახურებისა კი – 58%-ს, 2000 წელს ეს მაჩვენებლები სექტორების იგივე თანმიმდევრობით განლაგების შემთხვევაში იყო სოფლის მეურნეობის წილზე მოდიოდა 13,6%, მრეწველობაზე–22,5%, ხოლო მომსახურებაზე კი – 63,8%. 2010 წელს სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი საერთო მშპ-სთან მიმართებაში შეადგენდა მხოლოდ 9,4%-ს, მრეწველობისა – 26,1 %-ს, ხოლო მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი კი – 64,5%-ს.

თურქეთის ეკონომიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ დარგს მისი განვითარების დონის მაჩვენებლებს წარმოადგენს ენერგეტიკა. სახელმწიფო პოლიტიკა ელექტროენერგეტიკის სფეროში მიმართულია მდგრადი სიმძლავრეების ზრდაზე, ენერგოეფექტიანობის ამაღლებაზე, ენერგიის ალტერნატიულ წყაროების შემუშავებასა და დანერგვაზე, ელექტროენერგიის მიღების წყაროებისა და გზების დივერსიფიკაციაზე, რაც ხელს შეუწყობს ნედლეულის საიმპორტო წყაროებზე თურქეთის ენერგოდამოკიდებულების დონის დაქვეითებას. თურქეთი აქტიურად ერთვება საერთაშორისო გაზისა და ნავთობსადენების სისტემაზე, რაც მას უმყარებს სტაბილური სატრანზიტო პარტნიორის სტატუსს რუსეთიდან, კასპიის რეგიონიდან და სპარსეთის ყურედან ნავთობისა და გაზის მიწოდების საკითხებში. ამდენად, ენერგეტიკა თურქეთის ეკონომიკის ქვაკუთხედია, რადგან ის ასრულებს არამარტო სატრანზიტო ფუნქციას, არამედ თავადაც გააჩნია გაზის გარკვეული ოდენობა, რითაც ცდილობს აიმაღოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის დონე.

IV. 2. სოფლის მეურნეობის განვითარების სპეციფიკა თურქეთის რესპუბლიკაში

თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობა თურქეთში წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგს, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით. 2010 წელს მასზე მოდიოდა მშპ-ის 9,4% (ნაცვლად 1980 წლის 25,%-ისა). თანამედროვე ეტაპზე თურქეთის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 24,7%, მაშინ, როდესაც 1980 წელს ეკონომიკის ამ სექტორში დაკავებული იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის 84%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილი და დარგის დაბალი დონე მშპ-ში ასახავს ამ დარგის დაბალ მწარმოებლურობას, თუმცა მასაც გააჩნია ზრდის ტენდენცია. სოფლის მეურნეობის ზრდის დაბალი ტემპები აიხსნება ხელისუფლების სუსტი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკით.

თურქეთის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მიწის „პარცელიზაცია", რაც ამუხრუჭებს მიწის რაციონალურ გამოყენებას და დარგის გეგმაზომიერ მოდერნიზაციას. ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის თვალნათლივ მაჩვენებელს წარმოადგენს მისი ტექნიკური აღჭურვილობის დონე. წყლისა და თანამედროვე ტექნიკის გამოყენების პარალელურად გამოიყენება ტრადიციული მექანიზაციის ტექნიკაც. დამუშავებული მიწის ფართი, როგორც პროცესების მოდერნიზაციის მაჩვენებელი, გაორმაგდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში, იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მოცულობაც, მათი მოსავლიანობა (მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თურქეთის აგრარული კულტურების მოსავლიანობა 2-3-ჯერ ჩამორჩება მაღალგანვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თურქეთი სრულად აკმაყოფილებს საკუთარ მოსახლეობას ადგილობრივ მიწებზე მოყვანილი და გადამუშავებულიი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანება წარმოადგენს მისი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებას, ამ ქვეყანამ აიღო საკუთარ თავზე ვალდებულება მოეხდინა საკუტარი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და ინსტიტუციური ბაზის ჰარმონიზაცია ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან. 2001 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად თურქეთმა დაიწყო ფერმერთა რეგისტრაციისა და მათი მეურნეობის მიზნობრივი მხარდაჭერის გასაგებად საკმაოდ ადვილი და გამჭვირვალე სისტემა. აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო რე-

ფორმების ბევრად უფრო ეფექტურად განხორციელებისათვის დაშვებული იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონების ეკონომიკური განვითარება, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, უმიწო და მცირემიწიანი გლეხების გადმოსახლება მოცემულ რეგიონებში და მათთვის მიწების გამოყოფა, დამუშავებული მიწების ფართობის, მოსავლიანობის ზრდა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა.

თანამედროვე მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის მაჩვენებელს წარმოადგენს მომსახურეობის სფეროს ხვედრითი წილი მშპ-თან მიმართებაში. თურქეთში ამ დარგის ხვედრითმა წილმა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურ და კონკურენტუნარიან განვითარებაზე, თურქეთის მშპ-ში 2010 წელს შეადგინა 64,5%, ხოლო მასში დასაქმებული ადამიანების ხვედრითმა წილმა შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო მოცულობაში კი – 55,9%. თურქეთს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობის ფლობის წყალობით თურქეთს აღარ სჭირდება მრავალგანშტოებიანი (რთულად დაქსელილი) სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება. ტვირთბრუნვისა და მგზავრთგატარების მიხედვით ტრანსპორტის ძირითად სახეობას წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტი. ქვეყნის მზარდი ეკონომიკა ხელს უწყობს საავტომობილო გზების (მ.შ., ფასიანისაც) თანამედროვე ქსელთა მოდერნიზაცია-განვითარებას და მათი სიგრძის გაზრდას. თურქეთის რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მოდერნიზაცია ძირითადად მდგომარეობს საერთაშორისო და რეგიონულ საავტომობილო სისტემებთან ნაციონალური საავტომობილო სისტემის სულ უფრო მჭიდრო ინტეგრაციაში.

თანამედროვე ეტაპზე თურქეთის რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტი წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ ნაკლებადგამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებას. რადგანაც რკინიგზის გამოყენების ინტენსივობა დაბალია, ამიტომ აუცილებელია მოხდეს მოქმედი სიმძლავრეების მოდერნიზაცია და გაგრძელდეს რკინიგზის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რათა საავტომობილო ტრანსპორტიდან დატვირთვა გამოთანაბრდეს (გადაიქაჩოს) სარკინიგზო ტრანსპორტზე. განვითარებული საზღვაო ტრანსპორტისა და მუდმივად მოდერნიზებადი თანამედროვე პორტების ფლობის წყალობით საერთაშორისო გადაზიდვებში (ტვირთბრუნვის მიხედვით) ლიდერობს სწორედ საზღვაო ტრანსპორტი. მილსადენის ტრანსპორტის განვითარების წყალობით თურქეთი აქტიურად მონაწილეობს რეგიონულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ამრიგად, თურქეთი კარგად იყენებს მის გეოპოლიტიკურ განლაგებას ტრანსპორტის განვითარებით.

IV. 3. თურქეთის მომსახურებისა და ფინანსური სფეროს მოდერნიზაციის ტენდენციები

თურქეთმა მიაღწია შესამჩნევ წარმატებას ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის ხარჯზე. უკანასკნელ ათწლეულში შეიმჩნევა სატელეფონო ქსელის აბონენტთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია მობილური კავშირგაბმულობის გამოყენების ხარჯზე. სწრაფი ტემპებით იზრდება ინტერნეტ-ქსელის აბონენტთა რიცხვი, მუდმივად იზრდება თანამგზავრული არხების რაოდენობა. იმავდროულად ეტაპობრივად ხორციელდება ფოსტისა და ტელეგრაფის ფილიალების (განყოფილებების) მოდერნიზაცია და ავტომატიზაცია. თურქეთის მდიდარი ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალი ხელს უწყობდა მსხვილ ტურისტულ ცენტრებად მის გადაქცევას. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს თურქეთის მშპ-ის 2,8%-ს. იგი უდიდეს როლს ასრულებს საგადასახადო ბალანსის გაწონასწორებაში. ამ დარგის განვითარება იძლევა აგრეთვე სამრეწველო და ინფრასტრუქტურული დარგების მოდერნიზაციისათვის აუცილებელ სტიმულს.

თურქეთის რესპუბლიკის მომსახურების სფეროს სწრაფი ზრდა სამწუხაროდ ხშირად ვერ პოულობს ასახვას სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების ეფექტიანობის შესაბამის ადეკვატურ ზრდაში. ეს აიხსნება არასაკმარისი არასაკმარისი დაფინანსებით (რომელშიც სახელმწიფო ინარჩუნებს წამყვან როლს), საზოგადოების დაბალი ინოვაციური კულტურით, უცხოეთის საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების მაღალი დონით, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების სტიმულების დაქვეითებით (მასზე ადმინისტრაციული ბარიერების დაწესების გამო). ამიტომ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სტიმულირების ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა თურქეთის ფარგლებში ტექნოპარკების ფორმირება. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაციისა და მსოფლიო ბაზარზე თურქული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის სამეცნიერო-ტექნიკური დონის ამაღლებაზე მოთხოვნის ანალიზი იძლევა მეცნიერებაზე გაწეული ხარჯების ზრდის პროგნოზირების შესაძლებლობას როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო კომპანიების მხრიდან.

თურქეთის რესპუბლიკის ფინანსური სისტემის მოდერნიზაციისათვის შემოღებული იქნა მთელი რიგი, საკმაოდ ეფექტური ღონისძიებები. 2009 წელს წარმატებით დასრულდა ფულადი სისტემის რეფორმა, რომელიც მოიცავდა ეროვნული ფულადი ერთეულის დენომინაციას. 2006 წლის დასაწყისიდან ქვეყანა გა-

დავიდა თურქული ლირის კურსის თავისუფალ ცურვაზე. თურქეთის თანამედროვე საბიუჯეტო სისტემის თავისებურებას წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტთან ერთად ე. წ. მასთან დაკავშირებული ავტონომიური ბიუჯეტების არსებობა, რომელიც გააჩნიათ მთელ რიგ სახელმწიფო კორპორაციებსა და უწყებებს.[1] მიზნობრივი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელების შედეგად 2000 წელს 2-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვაზე, განათლებასა და ფოსტაზე გაწეული დანახარჯები, 4-ჯერ გაიზარდა ასიგნები სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციაზე[2]. ამავე დროს თურქეთი არის ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, სადაც სხვა, ქვეყნებთან შედარებით უფრო დაბალია დაბეგვრის დონე. საგადასახადო სისტემის რეფორმა გატარდა ქვეყნის „ფარული" (აღურიცხავი) ეკონომიკის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბევრად უფრო გამჭვირვალე, პროგნოზირებადი საგადასახადო დაბეგვრის ქსელის შექმნისათვის.

დიდი ხნის განმავლობაში თურქეთში საბანკო სფერო იყო ეკონომიკის ყველაზე სუსტი (დაუცველი) წერტილი. 2000 წელს დაიწყო საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია და რეფორმა. კრიზისის წლებში თურქეთის საფინანსო სექტორი არ განიცდიდა ძლიერ ზეწოლას (წნეხს, შოკს). ამის შედეგად საბანკო სექტორში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო მნიშვნელოვანი პოტენციალი საფინანსო სექტორის შემდგომი მოდერნიზაციისა და დივერსიფიკაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, საფონდო ბაზრის განვითარებისათვის. მიმდინარეობს სტამბოლის საფონდო ბაზრის მოდერნიზაცია და სწრაფი განვითარება, რომელიც შედის განვითარებადი ქვეყნების საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციის მიხედვით ლიდერთა პირველ ათეულში. ამ მაჩვენებლის მიხედვით თურქეთის რესპუბლიკა იმტოფება ისეთი ქვეყნების დონეზე, როგორიცააინდონეზია, ჩილე, მალაიზია და მექსიკა.[3] თურქეთის რესპუბლიკის მმართველობის ერთ-ერთ ამბიციურ პროექტს წარმოადგენს სტამბოლისათვის რეგიონული, ხოლო შემდეგ კი მსოფლიო საფინანსო ცენტრის სტატუსის დამკვიდრების სურვილი. 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდა ფინანსურ სფეროში გატარებული რეფორმები, რამაც საშუალება მისცა თურქეთს სხვა ქვეყნებთან შედარებით უზრუნველყოს ეკონომიკის სტაბილურად განვითარება. თურქეთის საბანკო სექტორი იქცა ქვეყნის პოსტკრიზისული განვითარების ლოკომოტივად.

---

[1] Ялбулганов А.А. Конституционно-правовые основы бюджетного процесса в Турции. 23.03.2009 г. URL: http://turkey.legal.az (дата обращения 20.03.2012).

[2] BÜMKO. Central Government Budget Figures (2000-2013). URL: http://www.bumko.gov.tr/ (20.03.2012).

[3] World Federation of Exchanges. URL: http/www.world-exchanges. (20.03.2012).

IV. 4. თურქეთის რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მოდერნიზაცია

თურქეთის ეკონომიკის მოდერნიზაციის სფეროში თავისი როლი ითამაშა ისეთმა საგარეო ეკონომიკურმა ფაქტორებმა, როგორიცაა საგარეო ვაჭრობა, სამუშაო ძალისა და უცხოური კაპიტალის მიგრაცია. 2008 წელს იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიის კრიზისმა გამოიწვია ექსპორტზე ორიენტირებული მოდელის ჩანაცვლება, რაც აისახა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში გადამამუშავებელ, მათ შორის მეცნიერებატევად დარგთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდა. ექსპორტის სტიმულირების ინსტრუმენტებად იქცა საგადასახადო შეღავათები, ორგანიზებული სამრეცწლო ზონები, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, თურქეთის მიერ სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო საექსპორტო-საკრედიტო ბანკის შეღავათიანი კრედიტები. გაიზარდა საექსპორტო კვოტა, რომელიც 1980 წელს უდრიდა ამ ქვეყნის საერთო მშპ-ის 2,6%, ხოლო 2010 წელს კი ამ მაჩვენებელმა უკვე შეადგინა თურქეთის საერთო მშპ-ის 29,3%. თურქეთის რესპუბლიკის საექსპორტო კვოტის მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2008 წელს, როცა საექსპორტო კვოტამ შეადგინა მშპ-ის 35,2%.[4]

ბოლო 10 წლის განმავლობაში თურქეთის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული განაწილება პრაქტიკულად არ შეცვლილა. ამ ქვეყნის საგარეო ვაჭრობა ძირითადად, ტრადიციულად ორიენტირებულია მაღალგანვითარებული ქვეყნებისაკენ. თურქეთის სავაჭრო ბალანსის ქრონიკული უარყოფითი სალდო (დეფიციტი) ძირითადად განპირობებულია ენერგორესურსების იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი დონით. 1980-იანი წლების დასაწყისში თუქეთში განხორციელებულმა ლიბერალურმა რეფორმებმა ნათლად განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკის მიმართვა ქვეყანაში პირდაპირი უცხიური ინვესტიციების მოდინებაზე, როგორც მოდერნიზაციის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. 2003 წელს შემოღებული იქნა ახალი კანონი „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ", რომელიც შეესაბამება ყველა საერთაშორისო ნორმას და ქმნის ბევრად უფრო ხელსაყრელ საფუძველს (ნიადაგს, პირობებს) უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის.

უკვე თითქმის 20 წელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თურქეთში შემოდინება სტაბილურად აჭარბებს ამ ქვეყნიდან მათ გატანას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განთავსების დარგობრივი სტრუქტურის განხილვის დროს 2010 წელს ნათელი გახდა, რომ შედარებით პირდაპირი უცხოური ინვეს-

4. World dataBank http://databank.worldbank.org/ddp/home.do?Step=3&id (მიმართვის თარიღი 20.03.2015).

ტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ყველაზე უფრო მიმზიდველ და ხელსაყრელ დარგებს განეკუთვნება ელექტროენერგიის წარმოება, გაზისა და წყლის მიწოდება, ფინანსური სექტორი, გადამამუშავებელი მრეწველობა, კერძოდ კი ავტომობილების წარმოება და მეტალურგია[5]. ЮНКТАД-ის ექსპერტთა ბოლო შეფასების თანახმად, თურქეთმა დაიკავა მე-16-ე ადგილი მთელ მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველობის თვალსაზრისით.[6]

თურქეთის ეკონომიკის მოდერნიზაციის კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს შრომითი რესურსების მიგრაცია, რომელიც დაიწყო 1960-იანი წლებიდან. დროის ამ პერიოდიდან მოყოლებული თურქეთის შრომის უნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად გაედინებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ეს გასაგებიცაა, რადგანაც მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის თურქეთი ყველაზე ახლოს სწორედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მდებარეობს. ევროპულ ქვეყნებში არაკვალიფიცირებული სამუშაო ძალის გასვლა თურქეთში განიხილებოდა როგორც დადებითი ფაქტორი. ამით მიგრანტებს ეძლეოდათ მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლების შესაძლებლობა, ხოლო უცხოეთში შეძენილი ცოდნა-გამოცდილება მათ მიერ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოიყენებოდა თურქულ სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

1980-იან წლებში თურქეთში ლიბერალური რეფორმების განხორციელების პროცესი ხასიათდებოდა საგარეო ვალის ზრდით (2000 წლამდე) არა მარტო აბსოლუტურ გამოხატულებაში, არამედ მშპ-სთან მიმართებით პროცენტებში (1979 წელს–მშპ-ის 19%, 1993 წელს – მშპ-ის 48%, 2001 წელს – მშპ-ის 57%, 2001 წელს –მშპ-ის 42%).[7] 2009 წელს სსფ-თან ერთად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შეიმჩნევა მშპ-სთან მიმართებით საგარეო ვალის მუდმივად შემცირების ტენდენცია. ქვეყნის ფინანსური ბაზრის სტაბილურობის გამყარება ხელს უწყობდა თურქეთის ოქრო-სავალუტო რეზერვების ზრდას. თურქეთის საგადასახო ბალანსის ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ უკანასკნელ წლებში სავაჭრო ბალანსის ქრონიკული უარყოფითი სალდო მნიშვნელოვანწილად გამოთანაბრდა (დაბალანსდა) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, პორტფელური ინვესტიციების მოდინებით, უცხოეთში ემიგრირებული მუშების მიერ გამომუშავებული თანხებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით და სატრანზიტო გადაზიდვებით.

---

[5] Türkiye Cumhuriyet Merkez Bankası. ULR: http://www.tcmb.gov.tr/yeni/eng/ (მიმართვის თარიღი 16.03.2015).

[6] World Investment Prospects Survey, 2009-2011. UNCTAD. P.53.

[7] Türkiye İstatistik. URL: www.turkstat.gov.tr (მიმართვის თარიღი 01.03. 2015)

IV. 5. თურქეთის საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავტომობილების წარმოების მოდერნიზაციის ტენდენციები

თურქეთის ეკონომიკის მოდერნიზაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა ამ ქვეყნის საავტომობილო ინდუტრიაში განხორციელებული რეფორმები. ამ სფეროში იგი თანამშრომლობდა ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სამხრეთ კორეისა და იტალიის საავტომობილო საწარმოებთან. ადგილობრივი ავტომობილების წარმოების დასაცავად თურქეთი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან ავტომობილების იმპორტზე აწესებს მაღალ საბაჟო გადასახადებს ავტომობილის ასაკისა და ძრავის სიმძლავრის მიხედვით, რაც არ აჭარბებს ავტომობილის ღირებულების 1,7%-ს. საავტომობილო მრეწველობისათვის საჭირო ტექნოლოგიების იმპორტი ხდება ევროკავშირიდან, ამ ტექნოლოგიებს უნდა გააჩნდეს მარკირება „CE", რაც იმის დამამტკიცებელია, რომ ეს ტექნოლოგიები, ხარისხის მიხედვით, შეესაბამება ევროკავშირში მოქმედ სტანდარტებს.

ტექნიკის შემოსატანად ანაზღაურება უნდა განხორციელდეს თურქეთის მოქალაქის მიერ შემდეგი ოთხი საშუალებით: 1. ნაღდი ფულით (რაც პრაქტიკულად იშვიათად ხდება); 2. ძველი მანქანა-დანადგარების გარკვეულ ფასად ჩაბარებისა და ახალი დანადგარების საერთო ღირებულების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურების გზით; 3. ხანგრძლივი არენდით ან; 4. მიმწოდებლის კრედიტის გამოყენებით. თურქეთში დანადგარების შესყიდვაზე საბანკო კრედიტები გაიცემა 2-დან 4 წლამდე წლიურად 7-13%-ად. თურქეთში დიდი ყურადღება ექცევა მაღალი ტექნოლოგიების, კერძოდ –დროითი მიკროპროცესული ტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის საშუალებების განვითარებაზე. მრეწველობის ეს სფერო მანქანათმშენებლობისგან გამოყოფის შედეგად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დარგად.

საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკისა და ტელეკომუნიკაციური დანადგარების წარმოებაში მოქმედებს 250 კომპანია. ბევრი მათგანი, თავისი საქმიანობის საწყის ეტაპზე, დაკავებული იყო მსხვილი დასავლური კომპანიების (ჰოლანდიის, გერმანიის, იაპონიის, აშშ-ის, კანადის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, დანიის და იტალიის) ლიცენზიის საფუძველზე თურქეთის ტერიტორიაზე ამუშავებულ საწარმოებში პროდუქციის წარმოებით. ზოგიერთი მათგანი დღესაც მუშაობს ამ სქემით. თურქეთში მოქმედებს საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის რამდენიმე საკუთარი სავაჭრო მარკა (Beko, Vestel) და კავშირგაბმულობის საშუალებები, რომლებიც ცნობილნი არიან დსთ-ისა და ევროკავშირის მაღალგანვითარებული ქვეყნების ბაზრებზე, როგორც იაფი, საიმედო და მაღალტექნოლოგიური ტექნიკა.

2014 წელს ტელევიზორების წარმოებამ შეადგინა 18 მლნ ერთეული (წინა წელთან შედარებით ზრდის ტემპმა შეადგინა 4%). ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის საშუალებათა წარმოების სფეროში თურქეთმა აირჩია ისეთი გზა, რომელიც საშუალებას იძლევა უმოკლეს ვადაში დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა კომპიუტერებზე, მის აქსესუარებსა (სათადარიგო ნაწილებსა) და მათი მაკომპლექტებელი (საამწყობო) მცირე საწარმოების მშენებლობაზე. ადგილობრივი სავაჭრო მარკების მეშვეობით საიმპორტო მაკომპლექტებელი მასალებიდან ძირითადად ხდება პორტატული კომპიუტერების (ნოუთბუკების) პერსონალური კომპიუტერების აწყობა ბოლო თაობის პროცესორების, სერვერების ბაზაზე. ელექტრონული ტექნიკის ექსპორტში აგრეთვე ჭარბობს საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა. კერძოდ, ფერადი ტელევიზორები და ტელეკომუნიკაციის საშუალებები. 2013 წელს ელექტრონიკის პროდუქციის ექსპორტმა მიაღწია 2,8 მლრდ დოლარს (წინასთან შედარებით 5%-იანი ზრდით).

ამავე წელს თურქეთში ავტომობილების შიდა გაყიდვების მოცულობა, რაოდენობრივ გამოხატულებაში წინა წელთან შედარებით შემცირდა 4,2%-ით, მაგრამ 2014 წელს უკვე შეიმჩნეოდა ამ პროდუქციაზე (ავტომობილებზე) მოთხოვნის ზრდა. თურქეთში დიდი ყურადღება ექცევა ნაციონალური საავტომობილო პარკის ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესებას. 2008 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს ყველა ავტომობილზე ტექნიკური დათვალიერების ვალდებულება. შედეგად პარკის შემადგენლობიდან გამოირიცხა ტექნიკურად მოძველებული, დიდი გამონაბოლქვის გარემოს გამაჭუჭყიანებელი ავტომობილები. მოძრაობიდან გამოიდევნა 35 წელზე ზედა ასაკის მქონე 60 ათასი მსუბუქი ავტომობილი 47,3 ათასი სატვირთო, 2 ათასი ცისტერნიანი ავტომობილი და 8,1 ათასი ავტობუსი.

თურქეთში მზარდი მოთხოვნით სარგებლობს „ლუქსის" კლასის ავტომობილები. წინა წელთან შედარებით ამ კლასის „Volvo-ს" ავტომობილების მიწოდება და მასზე არსებული მოთხოვნა, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 10%-ით. თურქეთის სავაჭრო მარკით ამ ქვეყანაში დამზადებული „Volvo-ს" გაყიდვები თურქეთის შიდა ბაზარზე შეადგენს ავტომობილების გაყიდვების საერთო მოცულობის 10%-ს. 2014 წელს ამ ავტომობილების გამოშვების მოცულობამ თურქეთში შეადგინა 2 მლნ ავტომობილი. ექსპერტთა აზრით უახლოეს წლებში ნავარაუდებია ავტომობილების მსოფლიო მწარმოებელთა პირველ ათეულში თურქეთის შესვლა. თურქეთის საავტომობილო მრეწველობაში ძირითად ადგილს იკავებს თურქეთის სავაჭრო მარკის ქვეშ მომუშავე თურქულ-უცხოური საავტომობილო ფირმების დარგობრივი გაერთიანება, რაც ბაზრის ყველაზე დიდ ნაწილს იჭერს..

თემა V. თურქეთის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა

V. 1. მშენებლობის, კერამიკული და მინის წარმოების განვითარების შესაძლებლობები თურქეთში

თურქეთის ეკონომიკას დარგობრივი სტრუქტურა წარმოდგენილია ისეთი დარგებით, როგორიცაა მშენებლობა, კერამიკული და მინის ნაწარმის დამზადება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, ვაჭრობა, საბანკო სფერო დაა.შ. თურქეთის სამშენებლო კომპანიები აკონტროლებენ ქვეყნის სამშენებლო ბაზარს ეკონომიკის ყველა სექტორში: სამოქალაქო, სამრეწველო, სატრანსპორტო მშენებლობა, ენერგეტიკა, ირიგაცია, მილსადენი ტრანსპორტი. ობიექტების მიხედვით მშენებლობას მიმართავენ უცხოური კომპანიებიც– ენერგეტიკისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროში. თურქრული კომპანიები სამშენებლო სამუშაოებს ატარებენ 50 ქვეყანაში. ბოლო 30 წლის განმავლობაში თურქული კომპანიების მიერ უცხოეთში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობამ გადააჭარბა 60 მლრდ დოლარს.

თურქული კომპანიები ასრულებენ სამშენებლო მომსახურების მსოფლიო მოცულობის 3%-ს. მაგალითად, თურქული კომპანიების საკონტრაქტო ვალდებულებების ჯამურმა მოცულობამ რუსეთში მიაღწია 18 მლრდ აშშ. დოლარს. მარტო 2014 წელს თურქული კომპანიების მიერ რუსეთში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 2,7 მლრდ აშშ. დოლარი. თურქეთის სამშენებლო კომპანიების უმრავლესობა (95%), რომლებიც მუშაობენ უცხოეთში, წარმოადგენს საერთაშორისო სამშენებლო კომპანიების გაერთიანების წევრი.

თურქეთის შიდა სამშენებლო ბაზრის სამუშაოების 60%-იც სრულდება ამ კავშირის წევრების მიერ. თურქეთის სამშენებლო სექტორში იქმნება ამ ქვეყნის საერთო მშპ-ის 10%. ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით 2001-2003 წლებში შეიმჩნეოდა სამშენებლო სექტორის ვარდნა, მხოლოდ 2004 წელი ამ სექტორმა დაასრულა ზრდის დადებითინიშნულით (+4,6%). 2005-2006 წლებში თურქეთის რესპუბლიკის სამშენებლო სექტორი გაიზარდა შესაბამისად 19 და 12%-ით. სამშენებლო სექტორი სარგებლობს მთელი რიგი შეღავათებით: ქვეყნის პრიორიტეტულ (აღმოსავლეთ და სამრეთ-აღმოსავლეთ) რეგიონებში ობიექტების მშენებლობის დროს თურქული სამშენებლო კომპანიები იღებენ ბიზნესის გაფართოების ხელშემწყობ სერთიფიკატებს, რომლებიც მშენებლობის დროს ათავისუფლებს მათ მფლობელებს სხვადასხვა სახის ბიუროკრატიული შეზღუდვებისაგან,

დღგ-ის, კორპორაციული და საშემოსავლო გადასახადებისაგან. სამშენებლო მომსახურების ექსპორტი აგრეთვე ექვემდებარება დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან (დღგ-საგან) გათავისუფლებას. ასევე ეკონომიკური განვითარების ბანკის (შიდა) და ექს-იმ-ბანკის (საგარეო) საბანკო ხაზით ხორციელდება სამშენებლო პროექტების აქტიური სახელმწიფო-საკრედიტო მხარდაჭერა.

კერამიკული მრეწველობა. მოცემულ დარგში მუშაობს 30 საწარმო, რომელთაგან 13 დაკავებულია კედლისა და იატაკის ფილების (მეტლახისა და კაფელის) წარმოებით, 7 კი – სან-ტექნიკის წარმოებით. გარდა ამისა, არსებობს კერამიკისაგან საყოფაცხოვრებო ნაკეთობათა წარმოების მიმართულება, სადაც მუშაობს 8 მსხვილი და 250 მცირე საწარმო. სამრეწველო დანიშნულების კერამიკულ ნაკეთობათა წარმოება წარმოდგენილია ორი მსხვილი კომპანიით. თურქეთის კერამიკულ ნაკეთობათა, როგორც წარმოება, ისე ექსპორტი, რაოდენობრივი გამოხატულების მიხედვით, შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად: პირველ ადგილზეა ფილების წარმოება, მეორეზე – სანტექნიკა, მესამეზე კი – საყოფაცხოვრებო ნაწარმი. თურქეთი იმყოფება მეხუთე ადგილზე მსოფლიოში და მეოთხე ადგილზე ევროპაში, კერამიკული ფილების, ხოლო მეხუთე ადგილზე ევროპაში – სანტექნიკის წარმოების მიხედვით. კერამიკული ნაწარმის ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი (80%) ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნებში.

მინის წარმოება. ამ სფეროში წარმოების 90% ხორციელდება მსხვილ კომპანიებში ს. ს. „შიშედჟამ", რომელშიც შედის 20 სამრეწველო საწარმო და 2 სავაჭრო კომპანია. ამ კომპანიის პროდუქცია ცნობილია არა მარტო დასავლეთ ევროპულ, არამედ სხვა ბაზრებზეც. თურქეთში იწარმოება სამი ძირითადი ჯგუფის მინის ნაკეთობა: 1. ბინის მინა; 2. მინის კონტეინერები; და 3. საყოფაცხოვრებო დანიშნულების მინის ნაკეთობანი. ბოლო ჯგუფი მოიცავს 5000 დასახელების ნაკეთობას. ამ ჯგუფის მინის ნაწარმი წარმოდგენილია მინის ექსპორტშიც. ტრადიციულის მსგავსად იწარმოება სპეციფიკური დანიშნულების მინის პროდუქცია: დაჯავშნული, ჩამუქებული, ფერადი, სარკიანი მინები, ლაბორატორიული მოწყობილობა, კოლბა და ა. შ. თურქეთი მინის პროდუქციის ექსპორტს ახდენს 100-ზე მეტ ქვეყანაში, რომელთა შორის აღსანიშნავია: გერმანია, იტალია, ეგვიპტე, დიდ ბრიტანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, დსთ-ს ქვეყნები. ს. ს. „შიშედჟამ"-ის ინიციატივით შემოღებული იქნა ორმაგი დამცავი საიმპორტო საბაჟო-სატარიფო ბარიერები რუსეთიდან შემოტანილ მინაზე. დამცავი ბარიერები მოქმედებს დღესაც, რამაც გამოიწვია რუსეთიდან მინის იმპორტის შემცირება. მინის წარმოების საერთო მოცულობამ თურქეთში შეადგინა 1,16 მლნ ტონა.

V. 2. ავეჯისა და შესაფუთი მასალების წარმოების განვითარების შესაძლებლობები თურქეთში

თურქეთის ეკონომიკურ განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს ავეჯის მრეწველობა, რომელთა წარმოებაც წარმატებით ხორციელდება ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ სამრეწველო ზონებში. ამ ტიპის ზონებში წარმატებით მუშაობენ ავეჯის დამამზადებელი როგორც მცირე სახელოსნოები, ისე მსხვილი სამრეწველო საწარმოები. მათ შორის საწარმოთა პირველი ჯგუფი ავეჯის წარმოებისა და გასაღების შიდა ბაზარზე იჭერს მნიშვნელოვან ნიშას. მცირე საამქროებს გააჩნიათ ცვალებად საბაზრო კონიუნქტურაზე ადვილად ადაპტირების (მაღალელასტიურობის) უნარი. მათ გააჩნიათ მოთხოვნაში მომხდარ ცვლილებებზე სწრაფად რეაგირების შესაძლებლობა სამუშაო ძალისა და წარმოების მოცულობის შესაბამისი შემცირების ან გაზრდის გზით. მსხვილ საწარმოთა წარმოების ორგანიზება სრულად ავტომატიზირებულია, რომლის პროდუქციის გარკვეული ნაწილი სარეალიზაციო ორიენტირებულია ექსპორტზე.

ავეჯის წარმოება თურქეთში წარმოდგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის დამაკავშირებელ ერთ-ერთ სფეროს. თურქეთს გააჩნია დიდი გამოცდილება სამრეწველო ზონების ორგანიზების სფეროში. ეს ზონები აერთიანებს მცირე და საშუალო სამრეწველო საწარმოებს დარგობრივი ნიშნის მიხედვით. თურქეთის ეს გამოცდილება რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გამოიყენება ავეჯის წარმოებაშიც. თურქეთში ავეჯისა და მისი აქსესუარების წარმოების უმსხვილეს ცენტრს წარმოადგენს ანკარის შემოგარენში მდებარე „სიტელერ”-ის რაიონი. აქ გაერთიანებულია ავეჯის 5000-მდე მცირე და საშუალო საწარმო, ავეჯის ხუთი უმსხვილესი ფაბრიკა. ავეჯის პროდუქციის შიდა ფასები საკმაოდ მაღალია, რაც აიხსნება შიდა ნედლეულის თითქმის არარსებობით. საგარეო ბაზარზე თურქული პროდუქცია კონკურენტუნარიანია ანალოგიურ, დასავლურ პროდუქციასთან შედარებით საკმაოდ მაღალი ხარისხისა და დაბალი ფასის წყალობით.

თურქეთში ავეჯი იწარმოება როგორც ჩვეულებრივი ხის (მუხის, წიფლის, კაკლის, ფიჭვის, წითელი ხის), ისე დაპრესილი დაფებისა (მუხის, წიფლის, კაკლის, წითელი ხის) და პლაივუდისაგან (ფანერებისაგან). თურქეთის ავეჯის მრეწველობაში გამოიყენება უახლესი ტექნოლოგიები. იზრდება დასავლური ტექნოლოგიების გამოყენების დონე, სახელდობრ რიცხობრივ-პროგრამული მართვის მანქანები. თურქული ავეჯის უმსხვილესი ბითუმად მყიდველები არიან თურქე-

თის ხელშეკრულების მონაწილე კომპანიები, რომლებიც აქტიურად იყენებენ მოცემულ პროდუქციას უცხოეთში თავიანთი ობიექტების აღჭურვისათვის.[8]

შესაფუთი მასალების წარმოება. შესაფუთი მასალების თურქული ბაზრის ტევადობა გაფართოვდა საშუალოდ 10%-ით წელიწადში. სხვადასხვა სახის შესაფუთი მასალაზე მოთხოვნის შესამჩნევ ზრდას იწვევს სწრაფი ურბანიზაცია, პროგრესირებადი ინდუსტრიალიზაცია, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ცხოვრების თანამედროვე სტილის დამკვიდრება და მასთან დაკავშირებული სამომხმარებლო ქცევა. ეს ასტიმულირებს შესაფუთი მასალების ადგილობრივ მწარმოებლებს, ინვესტორებსა და იმპორტიორებს, გაზარდონ თავიანთი სამეწარმეო, საინვესტიციო და სავაჭრო საქმიანობა. იმავდროულად ფართოვდება ამ მასალების ექსპორტიც. სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის ზრდისა და საცალო-სავაჭრო ქსელის მოდერნიზაციის შედეგად იზრდება ხარისხობრივი მოთხოვნა შეფუთვაზე. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე თურქული ფირმების საექსპორტო ორიენტაციის გაძლიერება, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ შესაფუთ მასალებზე არსებული ერთობლივი მოთხოვნის აქტიურ ზრდაში.

ხელსაყრელი კონიუნტქურით სარგებლობს როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტიორი ფირმები. თურქეთის შესაფუთი მრეწველობის დარგობრივი გაერთიანება შესაფუთი მასალების წარმოების მოცულობას აფასებს 3,5 მლნ ტონად ყოველწლიურად. ამ დროს მათზე არსებული შიდა მოთხოვნა იმყოფება 2,8 მლნ ტ. დონეზე. მათ წარმოებაზე დაკავებულია 5 ათასი (ძირითადად, მცირე და საშუალო) ფირმა. 18 მწარმოებელი შედის ქვეყნის (ბრუნვის მიხედვით) 500 უმსხვილესი კომპანიის რიცხვში. ამ დარგის საწარმოები ძირითადად განლაგებულნი არიან სტამბოლის, იზმირის, ანკარასა და კონიას პროვინციებში. პლასტიკური საფუთავის სამეწარმეო სიმძლავრე შეადგენს 800 ათას ტონას წელიწადში.

წარმოების ნომენკლატურა ძირითადად მოიცავს პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ჩანთებსა და ტომრებს, რომლებიც გადის ექსპორტზე. ლითონის საფუთავის წლიური სამეწარმეო სიმძლავრე ფასდება დაახლოებით 500 ათას ტონა წელიწადში, რომლის 63% მოდის ფოლადის ნაკეთობაზე. მოყაოს ქაღალდის საფუთავი მასალის წლიური სამეწარმეო სიმძლავრე შეადგენს 1,9 მლნ ტონას წელიწადში, რაც შესაბამება დარგში ღირებულებითი მოცულობის 1/3-ს. განვითარების მაღალ დონეს არის მიღწეული მინის საფუთავის წარმოების სფეროში მისი ერთობლივი სამეწარმეო სიმძლავრე შეადგენს 550 ათას ტ/წლიურად.

[8] www.turkey.polpred.ru

V. 3. მანქანათმშენებლობის განვითარების სპეციფიკური თავისებურებები თურქეთში

თურქეთის ეკონომიკის განვითარებაში უაღრესად დიდ როლს თამაშობს მანქანათმშენებლობის მრეწველობა. ის ამაღლებს ამ სექტორში დამზადებული ტექნოლოგიებისა და მანქანა-დანადგარების ხარჯზე გამოშვებული პროდუქციის ხარისხს საგარეო ბაზარზე.. თურქეთის მანქანათმშენებლობის მრეწველობაში დომინირებს კერძო კომპანიები. სახელმწიფო ორგანიზაციების ხვედრითი წილი შეადგენს ამ სფეროს სულ რაღაც 6%.[9] თურქეთის მანქანათმშენებლობის მრეწ-ველობა უშვებს: სამშენებლო ტექნიკას, მანქანებსა და დანადგარებს მძიმე მრეწ-ველობისათვის, ელექტრო- და დიზელის ძრავებს, ფრეზვის, საბურღ, სატეხ და ხის დამამუშავებელ ჩარხებს, კომპრესორებს, ხელის ინსტრუმენტებს, მძლავრ ტურბინებს, ჰაერის გამაგრილებელ დანადგარებს, საფეიქრო და კვების მრეწვე-ლობის დანადგარებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, საკერავ მანქანებს, მაცივ-რებს, გადამცემ მექანიზმებს, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ტიპის სარეცხ დანადგარებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის წარმოების ნაციონალუ-რი შემადგენლობა არის 85%-ის დონეზე. 2014 წელს ამ სექტორის შიდა გაყიდვე-ბის ბაზრის (საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარეშე) შეადგენს 12,7 მლრდ აშშ დო-ლარს (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 2,6%). ამ დროს ადგილობრივი მდგენელის წილი იყო 48%-ის დონეზე.

მაცივრების, სარეცხი მანქანებისა და გამათბობლების წარმოებამ შეადგი-ნა 5280, 4270 და 5690 ათასი ერთეული, რომლის ზრდამაც წინა წელთან შედა-რებით შეადგინა 5,5%,, 6,3% და 2,5%. საყოფაცხოვრებო ტექნიკის 50%-ზე მეტი გადის ექსპორტზე. თურქეთის საყოფაცხოვრებო ტექნიკის მყიდველ ქვეყნებს შო-რის ძირითად ადგილს იკავებს ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნები. თურქეთის მანქანათმშენებლობის მრეწველობის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს ელექტროდანადგარების წარმოება, რომელიც მოიცავს როგორც შუალედურ, ისე საინვესტიციო საქონელს. მოცემულ სფეროში დასავლეთის ტექნოლოგიების გვე-რდით წარმატებით გამოიყენება ადგილობრივი (ნაციონალური) „ ноу-хау”.

თურქეთის ელეტქროტექნიკური მრეწველობა უშვებს ელექტროძრავებისა და ელექტროგენერატორების, ტრანსფორმატორების, კაბელებისა და სადენების, ბატარეების, ელექტრონათურებისა დასაყოფაცხოვრებო ელექტროდანადგარების

[9] www.polpred.com /

ფართო სპექტრს. თურქეთის მანქანათმშენებლობის მრეწველობა აქტიურად იზიდავს უცხოურ კაპიტალს)„სიმენსი", „ალკატელი", „აბბ" და სხვები), რითაც ამ დარგში დასაქმებულმა კომპანიებმა მიიღეს უცხოური კომპანიების ლიცენზიებით სარგებლობის უფლება, მათთან ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბების გზით. იზრდება იმ საექსპორტო პროდუქციის ხვედრითი წილი, რომელთაც გააჩნიათ ევროკავშირის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველმყოფი მარკირება. თურქეთის მანქანათმშენებლობის განვითარებაში ხარისხობრივი ნახტომი აისახა განვითარების 2 ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციის დროს.

თურქეთში გამოჩნდა სახელმწიფო და კერძო საწარმოები დგუშებისა და დიზელის ძრავების, შაქრის წარმოების დანადგარების, ღუმელების, ამწე- და სატრანსპორტო მექანიზმების, მაღალი წნევის რეზერვარების, მექანიკური ჩარხების დასამზადებლად. 1980-იან წლებამდე მანქანა-დანადგარების წარმოება თურქეთში მიმართული იყო შიდა ბაზარზე დასანერგად. მხოლოდ 1990-იანი წლებიდან სამრეწველო სექტორის სამეწარმეო პოტენციალისა და მანქანათმშენებლობის მრეწველობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის წყალობით, ზრდა დაიწყო საექსპორტო დაკვეთებმა. მიმდინარე ათწლეულში თურქეთის მანქანათმშენებლობა ხასიათდება უთანასწორო განვითარებით. თუ 2012 წელს ამ დარგის საწარმოთა პროდუქციის გამოშვების დონე წინა წელთან შედარებით გაიზარდა 22,4%-ით, ხოლო მასზე არსებული მოთხოვნა – 22,8-ით, 2013 წელს ეს მაჩვენებლები დაქვეითდა შესაბამისად 1%-ით და 3,8%-ით, ხოლო 2014 წელს კი კვლავ გაიზარდა 12,4%-ითა და 7,9%-ით. წამყვანი თურქული მანქანათმშენებელი კომპანიები შედიან მრეწველობის ნაციონალური კავშირის შემადგენლობაში.

ამ დარგის მკვლევართა პროგნოზის თანახმად, 2016 წელს მანქანა-დანადგარებზე მოთხოვნის ყოველწლიური ზრდა ქვეყანაში შეადგენს 10-12%-ს, ხოლო იმპორტის ზრდა კი – 15%-ს. თურქეთში ფუნქციონირებს 11 ათასი მანქანათმშენებელი საწარმო, მაგრამ მათგან მხოლოდ 3 ათასი უშვებს კონკურენტუნარიან პროდუქციას. მანქანათმშენებლობის პროდუქციის ერთ-ერთ ძირითად სახეობას წარმოადგენს ჩარხები. 2014 წელს სულ გამოშვებულ იქნა 426,2 მლნ დოლარის ღირებულების დაზგა, ნაცვლად წინა წლის 374,6 მლნ დოლარისა. მძაფრი კონკურენციული ბრძოლის პირობებში თურქეთის მანქანათმშენებელი კომპანიები აწყდებიან მათი პროდუქციის რეალიზაციდან მოგების შემცირებას და შესაბამისად ფინანსური შესაძლებლობების გაუარესებას, რაც მათ არ აძლევთ მსხვილი პროგრამების განხორციელებისა და სამეწარმეო შესაძლებლობების გაზრდის საშუალებას. ამიტომ ამ დარგში მოსალოდნელია მცირე კომპანიების დახურვა.

V. 4. პლასტმასის, სამშენებლო და სამთო-მომპოვებელი მასალების წარმოების განვითარების პერსპექტივები თურქეთში

თურქეთში პერსპექტიულია პლასტმასის წარმოების განვითარებაც, რაც გამოიხატება იმაში რომ მიმდინარეობს ამ სექტორში დაკავებული მცირე და საშუალო კომპანიების გაერთიანება და მსხვილი მიმწოდებლების პოზიციების გამყარება. საინვესტიციო მიმზიდველობას მეტ-ნაკლებად ამჟღავნებს პლასტამის მაკომპლექტებელი მასალის (მაგ., კარ-ფანჯრებისათვის, კომპიუტერებისათვის და სხვა მიზნით) წარმოება. ეს ეხება უპირველესად ავტომობილების მაკომპლექტებელი მასალების დამზადებას, რომელიც ჯერ კიდევ ქვეყანაში არ მზადდება. უკანასკნელ ათწლეულში თურქეთში განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მოთხოვნა პლასტმასის გადამამუშავებელ დანადგარებზე, რომელიც უპირატესად კმაყოფილდება იმპორტის ხარჯზე. თურქეთის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს პლასმასის გადამამუშავებელი ცენტრების ჩამოყალიბება, რომლებიც ფართოდ გამოიყენება პლასტმასის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობისათვის (ძირითადად ავტომობილებისათვის, ელექტრონიკისა და საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობებისათვის). დიდი მოთხოვნით სარგებლობს კვების პროდუქტებისათვის საჭირო პლასტმასის საფუთავის წარმოება, რომლის ტექოლოგიების ძირითადი მიმწოდებელია გერმანია. მოცემული დარგის (აგრეთვე ფარმაცევტული და პარფიუმერულ-კოსმეტიკური) საწარმოები უწყვეტად აფართოებენ პლასტმასის საფუთავი მასალების შესყიდვებს

პლასტმასის მასალის სამეწარმეო სიმძლავრე წლიურად შეადგენს 450 ათ ტონას. უკანასკნელ წლებში წარმატებით ვითარდება ამ ტიპის მასალების თურქეთიდან ექსპორტი. საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო სამდივნოს მონაცემების თანახმად, 2014 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1351 მლნ დოლარამდე, თურქეთიდან პლასტმასის მასალის უმსხვილესი იმპორტიორია გერმანია, სადაც ყოველწლიურად გადის 138,5 მლნ დოლარის პლასტმასის ნაწარმი. მას მოსდევს დიდი ბრიტანეთი, (112,4 მლნ. დ), საფრანგეთი (82 მლნ. დ), რუსეთი (64,7 მლნ. დ) და უკრაინა (55,1 მლნ. დ). თურქეთში ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა ასევე პლასტმასის ნაწარმის იმპორტზეც, რომელიც 2014 წელს გაიზარდა 1571,6 მლნ დოლარამდე (ნაცვლად 2013 წლის 1380,4 მლნ დოლარისა). უმსხვილესი საიმპორტო პოზიციები უკავია პლასტმასის ფილებს, ფურცლებს, დისკოსა და საფუთავებს. ამრიგად, თურქეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პლასტმასისა და რეზინის გადამამუშავებელი მრეწველობა, რომლის საწარმოებიც განსაკუთ-

რებულ ინტერესს ავლენენ ამ ნედლეულის დამამუშავებელი მანქანა-დანადგარების შეძენის მიმართ კაბელებისა და სადენების საწარმოებლად. ამ დარგის ბრუნვა შეადგენს 30 მლრდ დოლარს წლიურად, ნაცვლად 2010 წლის 20 მლრდ-ისა.

ქვეყანაში არსებობს სამშენებლო და სამთომომპოვებელი დანადგარებზე მოთხოვნის გაფართოების საკმაოდ ხელსაყრელი პერსპექტივები. თურქეთის მშენებლობაში შეიმჩნევა ეკონომიკური ზრდა. 2014 წელს ამ დარგის საწარმოების ერთობლივი ბრუნვა, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 19,4%-ით. თურქეთში დიდი ყურადღება ექცევა ბინათმშენებლობას დაინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას. სახელდობრ წყალმომარაგებას და რკინიგზის ტრანსპორტს სახელმწიფო ინვესტიციების ხარჯზე. სამშენებლო და სამთომომპოვებელი დანადგარების გაყიდვებმა 2014 წელს 21%-ით გადააჭარბა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული მსხვილი პროექტების რეალიზაცია ასტიმულირებს მოთხოვნას მქაჩავებსა და კომპრესორებზე. რომლის გაყიდვებიც ქვეყანაში იზრდება ყოველწლიურად საშუალოდ 15%-ით. მოცემულ პროდუქტზე მოთხოვნა იზრდება საქალაქო გაზ-გამანაწილებელი სისტემის და ასევე ნარჩენების უტილიზაციის დანადგართა მოდერნიზაციის დროს[10]. თურქეთში რეალიზდება მთელი რიგი მსხვილი საინვესტიციო პროექტები, რომელიც მოითხოვს მანქანა-დანადგარების მნიშვნელოვან შესყიდვებს. მასში შედის სამსუნ-ჯეიჰანის ნავთობსადენები (550 კმ. სიგრძის, ყოველწლიური გამტარუნარიანობა 50-70 მლნ ტ, ინვესტიციები–1,5 მლრდ. დოლ), ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რომლის წლიური სიმძლავრეა 5 მლნ ტ., ინვესტიციები–1,5 მლრდ დოლ), ბოსფორის სრუტის ქვეშ გვირაბის მშენებლობა (370 მლნ).

უკანასკნელ ათწლეულში განსაკუთრებით მაღალი ტემპებით ვითარდება მანქანა-დანადგარებით საგარეო ვაჭრობა. ქვეყანაში მოცემული პროდუქციის ექსპორტის ხვედრითი წილი 2014 წელს გაუტოლდა 22,2%-ს, ნაცვლად წინა წლის 16,2%-ს. 2012-2014 წლებში მანქანა-დანადგარების შიდა ბაზარზე იმპორტული პროდუქციის ხვედრითი წილი თურქეთში გაიზარდა 42,3%-დან 52,2%-მდე. მის შედარებით მსხვილ მიმწოდებელს წარმოადგენს გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი გარდა ამისა, თურქეთში საიმპორტო მიწოდება ხორციელდება ჩინეთიდან, იაპონიიდან, აშშ-დან, სამხრეთ კორეის რესპუბლიკიდან, შვეიცარიიდან და ტაივანიდან. თურქეთის ხელისუფლება მზად არის უზრუნველყოს ქვეყანაში მანქანა-დანადგარების წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

[10] www.turkey.polpred.ru

V. 5. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოების პოტენციალი თურქეთში

თურქეთის ხელისუფლება მზად არის გააუმჯობესოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოების ხარისხი და შეამციროს სამეწარმეო დანახარჯები. ამ დარგში მექანიზაციის სტიმულირების მიზნით, მმართველობამ დამატებითი ღირებულების გადასახადი შეამცირა 18%-დან 8%-მდე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაყიდვისა და ლიზინგის დროს. თურქეთის კომპანიები ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თითქმის ყველა სახეობას, რომელიც ძირითადად დაყოფილია ტრაქტორებად და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანადგარებად (ერთობლივი წლიური წარმოება აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს მიერ ფასდება დაახლოებით 360 მლნ დოლარად). ქვეყანაში აღირიცხება ტრაქტორების ადგილობრივი მიმწოდებელი, ზომის მიხედვით, 5 საშუალო და 2800 მცირე კომპანია, რომლებიც ამზადებენ 130 სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო დანადგარს: მიწის სახნავი მანქანები, კულტივატორები, ხორბლის სორტირების დანადგარები, ირიგაციული სისტემა, მეფრინველეობის აპარატები, მტვირთავები, საწმენდები დაა.შ.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უმსხვილესი 224 მიმწოდებელი გაერთიანებულია თურქეთის სამრეწველო საწარმოთა ასოციაციაში, რომლებზეც მოდის ამ სექტორის წარმოების 85% და განხილული ტექნიკის თითქმის მთელ ექსპორტს ეს მიმწოდებლები ახორციელებენ. ტრაქტორების მთავარ მწარმოებლებს თურქეთში წარმოადგენს კომპანია „Turk Traktor" („Case New Holland" და თურქული კონგლომერატის „Koc Holding"-ის მიერ შექმნილი ერთობლივი საწარმო) და „Uzel Makina" (AGCO ჯგუფის ერთადერთი ლიცენზიანტი და მისი მარკის – "Massey Fergusson" დისტრიბუტორი). ისინი აკონტროლებენ მთლიანი წარმოების დაახლოებით 43%-ს, სასოფლო-სამეურნეო დანადგარების შედარებით მსხვილ დამამზადებლებს განეკუთვნება „Onallar", „Saglamel", „Alpler", „Turker", „Kurtsan", (ვაკუუმიანი საქაჩის მწარმოებელი), „Gungor" (დასარგავი მანქანების მწარმოებელი), `Tinaz" (აწარმოებს მისაბმელებს), „Isko Plastic" (მილებს), „Yurdusar", „Holsan" (ამზადებს ტრაქტორის ნაწილებს), „EkerMak" (კულტივატორებს, კონვეიერებს).

სამეწარმეო სიმძლავრეების გაზრდის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მისი ნომენკლატურის გაფართოების წყალობით, თურქეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმწოდებლებმა 2006 წლიდან 2014 წლამდე გაზარდეს თავიანთი ექსპორტი 230 მლნ დოლარიდან 350 მლნ დოლარამდე. მიწოდება ხდება მთელ მსოფლიოში, მაგრამ მთავარ მყიდველებს განეკუთვნებიან ევროპის, ახლო

აღმოსავლეთისა და დსთ-ის ქვეყნები. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპორტი თურქეთში რამდენადმე აჭარბებს მის ექსპორტს. 2014 წელს ამ ტექნიკის საიმპორტო შესყიდვებმა, აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით, 875 მლნ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 2006 წლის 516 მლნ დოლარისა, რომელიც ხორციელდებოდა იტალიაში, ბელგიაში, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და აშშ-ში.

ტრაქტორების წარმოება. თურქეთის ტრაქტორების პარკი ითვლის 1050 ათას ერთეულს, რომელთაგან 500 ათასით ზრდა მოხდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. ეკონომიკური პრიზისის პერიოდში (2001-2002 წლებში) ქვეყანაში ტრაქტორების მიწოდება მკვეთრად შემცირდა, მაგრამ 2003 წლიდან კვლავ დაიწყო გაყიდვების ტემპმა ზრდა. 2007 წლის ყინვებმა კვლავ უარყოფითად აისახა მათ შესყიდვებზე. თურქეთის ფერმერულ მეურნეობათა მცირე ზომების გამო ექსპლოატაციაში მყოფი ტრაქტორების უმრავლესობის სიმძლავრე ირყევა 41-50 და 61-70 კვტ. თურქეთში მიწის 1 ათას ჰექტარზე მოდის 3-4 ტრაქტორი, მაშინ როცა მაგალითად, გერმანიაში იგივე ფართზე მოდის 100 ტრაქტორი, საფრანგეთში 70.

ტრაქტორების წარმოება, იმპორტი და გაყიდვები თურქეთში განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანადგარებზე მოთხოვნის მოცულობას (მათი გაყიდვის დიდი ნაწილი ქვეყანაში არ რეგისტრირდება). ამერიკელი ექსპერტები ამ მოთხოვნას აფასებენ დაახლოებით 418 მლნ დოლარის ოდენობით წელიწადში. ამ დანადგარების პარკის 60%-იანი ზრდა მოხდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. მაგალითად, 12,4 ათასი კომბაინიდან 4,2 ათასმა კომბაინმა სრულად ამოწურა თავისი რესურსი და ისინი საჭიროებენ შეცვლას. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაყიდვების საერთო მოცულობაში იმპორტის ხვედრითი წილი თურქეთში აჭარბებს 80%-ს. ტრაქტორების იმპორტის ზრდის ტემპმა 2012-2013 წლებში შეადგინა შესაბამისად 44,8% და 27,2%. ხოლო სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპორტის ზრდის ტემპმა კი შეადგინა შესაბამისად 73,6% და 21,7%.

მთავარი საიმპორტო შესყიდვები ხორციელდება აშშ-ში, ჩინეთში, იტალიასა და შვედეთში. თურქეთი ახდენს 20 მაეკის ტრაქტორის ექსპორტს. მათი უმრავლესობას იძენს ევროპული კომპანიები. გატანილი ტრაქტორების 34%-ის სიმძლავრე მერყეობს 37-59 კვტ-ის ფარგლებში, 32%-ისა – 59-75კვტ-ის ფარგლებში, 12% -ისა – 75-90კვტ-ის ფარგლებში. სხვა სასოფლო-სამეურნეო დანადგარების მთავარი მომწოდებლები არიან იტალია, აშშ, ბელგია და გერმანია. თურქეთში იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეალიზაცია ძირითადად ხდება დისტრიბუტორების წარმომადგენლების ან უცხოელი მიმწოდებლების აგენტების მიერ. სახელმწიფო და მუნიციპალური შესყიდვები ხდება ტენდერის მეშვეობით.

თემა VI. თურქეთის მრეწველობა

მრეწველობას ეკუთვნის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი თურქეთის რესპუბლიკის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. არსებობს მრეწველობის განვითარების დონის განსაზღვრის ორი მიდგომა: 1. მისი შეფარდებითი როლის დადგენა ეკონომიკაში და 2. შიდადარგობრივი პროცესების ანალიზი. იმ მაჩვენებელთა ანალიზი, რომელიც ახასიათებს მრეწველობის ადგილს (თურქეთში იგი უპირატესად წარმოდგენილია გადამამუშავებელი მრეწველობის სახით) ქვეყნის ეკონომიკაში, მოწმობს მის განვითარებაში შესამჩნევი წარმატების მიღწევას. 1983 წელს თურქეთის ისტორიაში ამ ქვეყნის საერთო მშპ-ში მრეწველობის ხვედრითმა წილმა პირველად გადააჭარბა სოფლის მეურნეობის შესაბამის მაჩვენებელს პროცესების უპირატესად აგრარულიდან აგრო-სამრეწველო სექტორში გარდასახვით. 1990-იან წლებში გაგრძელდა მშპ-ში მრეწველობის წილის ზრდა. მშპ-ს სამრეწველო სეგმენტის საშუალო მაჩვენებელმა 1997წელს შეადგინა 27,5% სოფლის მეურნეობისათვის–15,7%, ხოლო მომსახურების სფეროსათვის – 56,8%.

VI. 1. გადამამუშავებელი მრეწველობა

ერთობლივ პროდუქტში მრეწველობის საერთო წილის 27,5%-დან 23% მოდის უშუალოდ გადამამუშავებელ მრეწველობაზე, რომელშიც ქმნიდა მთელი სამრეწველო პროდუქციის 83% და აკმაყოფილებდა სამრეწველო სექტორში დასაქმებულ სამუშაო ძალთა 90%-ს. სწორედ თურქეთის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების წყალობით ბოლო 20 წელიწადში შეძლო თავისი სავალუტო რეზერვების გაფართოება. თუ 1970-იან წლებში გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია აკმაყოფილებდა ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების მხოლოდ 25%-ს, მაშინ 1980-იან წლებში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 82%, ხოლო 1990 -იან წლებში კი – 84%. ამასთან ერთად, თურქეთის სამრეწველო ექსპორტის გაფართოება ხდებოდა მსოფლიო ბაზარზე მზარდი კონკურენციისა და ეკონომიკური ზრდის საერთო არასტაბილურობის პირობებში. ექსპორტის ტრანსფორმაციის სტრუქტურაში შესამჩნევი ნახტომი აშკარად მოწმობს თურქეთის მიერ 1980-იან წლებში გატარებული პოლიტიკის წარმატების შესახებ, რომელიც მიმართული იყო თურქეთის ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ, თუმცა ცხადია, რომ იგი ეფუძნება ამ სამრეწველო განვითარებამდე „იმპორტის ჩანაცვლებით ინდუსტრია-

ლიზაციის” პოლიტიკის რეალიზაციის შედეგებს. ხელსაყრელი იყო იმდროინდელი საგარეო კონიუნქტურაც მათ შორის ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზეც.

1990-იან წლებში თურქეთის სამრეწველო სექტორზე მოქმედებთა მთელი რიგი ისეთი ფაქტორებისა, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებოდნენ ყველა მისი წინამორბედისაგან. მათ შორის მნიშვნელოვანია 1989 წელს კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის დასრულება, ეროვნული ვალუტის თავისუფალი ცურვის რეჟიმის დამყარება 1994 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებისა და 1996 წელს საბაჟო კავშირის შესახებ მოლაპარაკების საფუძველზე მასში გაწევრიანება, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში აქტიური და პასიური პრივატიზაციის გაძლიერება, 1996-2000 წლებში მეშვიდე ხუთწლეულის გეგმის დამტკიცება, რომელიც განხორციელდა განვითარების ახალ კონცეფციაზე გადასვლის პერიოდში, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად 15 ქვეყნის საკმაოდ მაღალი გადახდისუნარიანობის მქონე სამომხმარებლო ბაზრისა და დეფიციტური სამეწარმეო ბაზრის გახსნა, რამაც წაახალისა თურქეთის მრეწველობა.

შედეგად თურქეთის გადამამუშავებელი მრეწველობა უპირატესად შიდა, ნაციონალურ თავისებურებებზე დაფუძნებული განვითარებიდან ისეთ განვითარებაზე გადასვლა, რომელზეც სულ უფრო დიდი მასშტაბით ახდენს გავლენას საერთაშორისო პირობები (კონკურენცია, კონიუნქტურა, სტანდარტიზაციის მოთხოვნა), მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული განვითარებიდან ისეთ განვითარებაზე გადასვლა, რომელიც ეფუძნება საბაზრო მექანიზმის „მუშაობას” და კერძო ფირმების სტრატეგიას. 1990-იანი წლების მოცემული თავისებურებები ქმნის თურქეთის მრეწველობაში მიმდინარე პროცესების შეფასების აუცილებლობას, არა მარტო რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების პოზიციიდან, არამედ რეფორმებზე დარგის „რეაქციის” პოზიციიდანაც. დარგი ამჟღავნებდა რეაქციას ახლო- და საშუალოვადიანი პერიოდში ადეკვატურად ეპასუხა თურქეთის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებზე. კერძო სექტორი კი ამჟღავნებდა „განვითარების ლოკომოტივის” როლის შესრულების უნარს. 1990-იან წლებში გადამამუშავებელი მრეწველობის მახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენდა მცირე საწარმოების შეზღუდული რაოდენობა, რის გამოც მათ უმნიშვნელო როლი შეჰქონდათ დამატებული ღირებულების შექმნასა და დასაქმების უზრუნველყოფაში. 1996 წელს 100 კაცზე მეტი დასაქმებულის მქონე მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა საერთო რაოდენობის 20,5%, დამატებული ღირებულების – 85,5% და დასაქმებულთა 73,4%. მაგრამ თურქეთის ეს გრადაცია განსხვავებულია საერთაშორისო პრაქტიკისაგან.

VI. 2. გადამამუშავებელი მრეწველობის დარგობრივი ანალიზი

თურქეთის სტატისტიკაში გამოყენებული მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა გრადაცია საერთაშორისო პრაქტიკაში მოქმედი ანალოგიური მაჩვენებლებისაგან (მცირე საწარმოებად ითვლება ის ფირმები, სადაც დასაქმებულია 1-50 ადამიანი, საშუალო საწარმოდ ითვლება 51-150 ადამიანის დამსაქმებელი კომპანიები, ხოლო მსხვილად კი–150-ზე მეტი ადამიანის დამსაქმებელი საწარმოები). საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, მცირე და საშუალო საწარმოთა როლი თურქეთში რამდენადმე მნიშვნელოვანია: მათზე მოდის დასაქმებულთა 45%, დამატებული ღირებულების–37%, (ღირებულების მიხედვით) წარმოების მოცულობის–48%, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების–26%. ამასთან ერთად ყურადღების გამახვილებაა საჭირო იმ გარემოებაზე, რომ უმნიშვნელოა მცირე და საშუალო საწარმოთა როლი გადამამუშავებელი მრეწველობის სასაქონლო ექსპორტსა და ეკონომიკის განხილულ სფეროში მოზიდული კრედიტების გამოყენებაში (3-4%).

არსებობს მთელი რიგი მიზეზებისა, რომლებიც იწვევენ თურექთის მრეწველობის ასეთ თავისებურებათა ჩამოყალიბებვასა და შემარჩუნებას. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ სამომხმარებლო დანიშნულების საქონელზე შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობა მოსახლეობის მაღალი ტემპით ზრდის პირობებში მისი ძირითადი ნაწილის მინიმალური მსყიდველუნარიანობის შენარჩუნების დროს, 1980-იან წლებამდე იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკის განხორციელება, 1980-იან წლებამდე ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის არარსებობა, კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს (სამუშაო ადგილების შექმნელი) მეწარმეებისგან საცხოვრებელი ფონდის აღრიცხვას (საწარმოში 10-ზე მეტი ადამიანის დასაქმების დროს), ბავშვთა სახლების მშენებლობას (ეს ევალება მსხვილ საწარმოებს, რომლებიც იყენებენ ქალის შრომას). საერთაშორისო კრიტერიუმების მიხედვით ასეთი ვითარება დამახასიათებელია არა მარტო მცირე საწარმოებისათვის.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად დგინდება, რომ მაღალი გადასახადები და სოციალურ ფონდებში მათ შორის დასაქმების მიხედვით სოციალური დაზღვევის ფონდის ჩათვლით, გაწევრიანება აიძულებს ფირმებს შეამცირონ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა. მაგ., თუ 2004 წელს აღირიცხებოდა 500 და უფრო მეტი რაოდენობის დასაქმებულის მქონე 615 ფირმა, 2010 წელს მათი რაოდენობა შემცირდა 457-მდე, 2014 წელს კი მათი რაოდენობა შემცირდა 280-მდე. ეს ფაქტორი ნაწილობრივ ხსნის მოგების რეალიზაციაში მცირე და ჩრდილოვან საწარმოთა არა მარტო არსებობის, არა-

მედ მათ მიერ მთელი რიგი „უპირატესობის" ფლობის შესაძლებლობას „დარეგისტრირებული მრეწველობის" ფირმებთან შედარებით. გადამამუშავებელი მრეწველობის შესახებ 2004-2014 წლების მონაცემები აჩვენებს იმას, რომ შემოსავლის ბევრად უფრო მაღალი დონეა მცირე მეწარმეთა სექტორში იმ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც იყენებენ 10-ზე მეტ მუშაკს. შემოსავლების დონემ 2004 წელს შეადგინა შესაბამისად 0,44 და 0,43, ხოლო 2014 წელს კი – 0,47 და 0,44.

ეს მონაცემები ზოგადია და არ ასახავს წარმოების თავისებურებებს დარგების მიხედვით. გადამამუშავებელი მრეწველობის დარგობრივი ანალიზი გვიჩვენებს იმას, რომ მსხვილი (100 და უფრო მეტი დასაქმებულის მქონე) საწარმოების შედარებით დიდი რაოდენობა თავმოყრილია ქიმიურ (დარგში შემავალ ყველა საწარმოთა საერთო რაოდენობის 21,7%) და მანქანათმშენებლობის (18%) დარგებში. მსხვილ საწარმოთა გავრცელების ყველაზე დაბალი დონეა ხის დამამუშავებელ მრეწველობაში. ისეთი დარგებისათვის, როგორიცაა ლითონდამუშავება, ავტომობილების წარმოება დამახასიათებელია მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის მნიშვნელოვანი კოოპერაცია და ვერტიკალური ინტეგრაცია.

ამრიგად, ცხადია, რომ თანამედროვე ეტაპზე თურქეთის მრეწველობის საფუძველს შეადგენს საფეიქრო, კვების, ქიმიური და მანაქანთმშენებლობის დარგები. მათ შორის პირველი ორი შრომატევადია, ანუ ეს ისეთი დარგებია, რომელთა მუშაობაც მნიშვნელოვნად ეფუძნება ნედლეულის გადამუშავებას, „კლასიკური" ტექნოლოგიის გამოყენებას, იაფ სამუშაო ძალას, ხოლო ორი უკანასკნელი ხასიათდება დამატებული ღირებულების შედარებით დიდი წვლილით. XXI საუკუნის პირველ ათწლეულში მომხდარ ცვლილებებს შორის შეიძლება აღინიშნოს კვების, ღვინო-წყლისა და თამბაქოს მრეწველობის მეორე პოზიციაზე გადასვლისა და ამ ადგილის მყარად შენარჩუნების ტენდენცია (დამატებული ღირებულების შექმნის თვალსაზრისით). უკანასკნელ ათწლეულში მოწინავე პოზიციებზე გავიდა საფეიქრო და ლითონის გადამამუშავებელი მრეწველობა.

თურქეთის გადამამუშავებელი მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოთა ხელმძღვანელობამ შეიძლება შექმნას მისი ფუნქციონირების შესახებ შტაბეჭდილება უპირატესად კონკურენციულ პირობებშიმაგრამ თავად გადამამუშავებელი მრეწველობის ქვედარგების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მონოპოლიზაციისაკენ მიდრეკილება. სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გადამამუშავებელ მრეწველობაში კონცენტრაციის პროცესების შესახებ გამოქვეყნებული მონაცემები ამტკიცებს ამ ტენდენციების შენარჩუნებას. ამ სექტორის ქვედარგების მხოლოდ 20% ინარჩუნებს კონკურენციულ მდგომარეობას.

VI. 2. თურქეთის მრეწველობის მონოპოლიზაციის ტენდენციები

გადამამუშავებელი მრეწველობის ქვედარგების 29,4% აღნიშნავს, რომ მათ სეგმენტში მოქმედებს კონცენტრაციის ძალიან მაღალ დონე (ოლოგოპოლია), 25,9% კი აღნიშნავს, რომ მათ სექტორში ეს მაჩვენებელი მაღალია, ხოლო 24,7% მათ სეგმენტში შექმნილ ვითარებას ფასებს მონოპოლიზაციის საშუალო დონედ. 2000-2014 წლებში თურქეთის მრეწველობის მონოპოლიზაციის შესახებ ზემოთ მოყვანილი მონაცემები მოწმობს იმას, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციამ ქვეყნის საექსპორტო ორიენტაციის გაძლიერებასთან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა ვერ მოიტანა (ტოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით) გადამამუშავებელი მრეწველობის ამ მახასიათებლების სასურველი ცვლილებები. დარგები, რომლებიც ითვლებოდნენ ოლიგოპოლისტურად 2000 წელს, ისეთივედ დარჩნენ 2014 წელსაც.

მონოპოლიზაციის მაღალი დონის მქონე 10 დარგიდან ოთხი დარგი (თამბაქოს, პოლიგრაფიის, ქიმიური, პროფესიული-ტექნიკური დაანადგარების წარმოება) გადაინაცვლა „ოლიგარქთა" სექტორად, ორში (სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანათმშენებლობა) შესსამჩნევად გაიზარდა კონცენტრაციის დონე. ეს ტენდენცია შეიმჩნევა მთელ რიგ ქვედარგებში მონოპოლიზაციის შედარებით დაბალი დონით, მაგალითად, კვების მრეწველობაში კონცენტრაციის დონე გაიზარდა 10,2%-დან 14 %-მდე, ელექტროდანადგარების წარმოებაში – 15%-დან 28,1 %-მდე, მეტალის გადამუშავებაში 16,3%-დან 17,4%-მდე. ამასთან ერთად, ზოგიერთ დარგში ადგილი ჰქონდა უკუპროცესებსაც. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო, მართალია, ოლიგოპოლისტური სექტორიდან კონკურენციაში გადასვლის ხასიათით, სპეციფიკურ მაგალითს წარმოადგენს შავი მეტალურგია (მისი კონცენტრაციის დონე 54,8%-დან 7,3%-მდე დაეცა). პოსტრეფორმირებულ თურქეთში შეიმჩნეოდა კონკურენციის როლის ზრდა ისეთ დარგებში, როგორიცაა სასმელებისა და ფეხსაცმლის წარმოება, თუმცა არა ისეთ დონეზე, როგორც შავ მეტალურგიაში.

ეს დარგები გადავიდა ოლიგოპოლისტურიდან მონოპოლისტურ სექტორში, ხოლო ცელულოზა-ქაღალდის წარმოება მონოპოლისტურიდან კონკურენციულში. თანაბარი კონკურენციის მქონე მრეწველობის ცალკეულ სეგმენტს შორის დარგთა აღნიშნულმა გადაადგილებამ გამოიწვია შემოსავლების განაწილების მიხედვით მონოპოლისტურ და ოლიგოპოლისტურ სექტორში მოქმედი ოთხი მსხვილი ფირმის ხვედრითი წილის უმნიშვნელო (შესაბამისად, 40,8%-დან 39,1%-მდე და 69%-დან 66,6%-მდე) ვარდნა, ხოლო „კონკურენციულ" დარგებში კი კონცენტრაციის დონის გარკვეულწილად ზრდა (18,4%-დან 19,0%-მდე). შედეგად, ზო-

გადად მრეწველობაში კონცენტრაციის საშუალო დონე რამდენადმე დაეცა (2000 წლის 42,7%-დან 2014 წელს 41,6%-მდე). საბოლოოდ კონცენტრაციის უფრო დაბალი დონე შეიმჩნევა იმ საგნებში, რომლებიც აწარმოებენ სამომხმარებლო დანიშნულების საქონელს, ხოლო ყველაზე მაღალი–ხანგრძლივი და საინვესტიციო დანიშნულების საქონლის წარმოებაში., რომლებიც საჭიროებენ ტექნოლოგიის უფრო ხშირ განახლებას და წარმოების მასშტაბის ეფექტის გათვალისწინებას. .

სამრეწველო საწარმოთა განვითარების დონის შესახებ მოსაზრებაში მნიშვნელოვანი დაზუსტების საშუალებას იძლევა დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი საქონლის დანიშნულების მიხედვით წარმოების თვალსაზრისით. 2010-იან წლებში შეიმჩნეოდა სამრეწველო წარმოების საერთო ღირებულებაში სამომხმარებლო საქონლის ხვედრითი წილის 47%-დან 35,7%-მდე შემცირების ტენდენცია. რამდენადმე გაიზარდა ხანგრძლივი მოხმარებისა (40,2%-დან 42,5%-მდე) და საინვესტიციო (12,8%-დან 21,8%-მდე) საქონლის წარმოების ხვედრითი წილი. ამ უკანასკნელი ჯგუფის საქონელს აღენიშნება ბევრად უფრო მდგრადი და შესამჩნევი ზრდა. დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი ეს ცვლილება შეესაბამება საერთო ტენდენციას, როცა ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ბევრად უფრო სწრაფად იზრდება მაღალი ელასტიურობის მოთხოვნის მქონე საქონლის წარმოება.

ჩატარებული კვლევების თანახმად, თურქეთის ეკონომიკაში ყველაზე მაღალი ელასტიურობით ხასიათდება ლითონდამუშავების, მანქანათმშენებლობის (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) პროდუქცია (ელასტიურობა 2-2,7). მასზე მოდის მინა-კერამიკული, ცემენტის, ქაღალდის, რეზინის, პლასტმასისა და ნავთომის მრეწველობის პროდუქცია (მათი ელასტიურობა 1-ზე მეტია)შედარებით ნაკლები ელასტიურობა აქვს თამბაქოს, ღვინოსა და წყლის მრეწველობას (დაახლოებით 1-ის ტოლი). ეს ცვლილებები საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ ინდუსტრიალიზაციის პროცესმა განვლო პირველი ეტაპი. თურქეთმა მიაღწია პირველადი და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის მოხმარების თვითუზრუნველყოფის გარკვეულ დონეს. გადამამუშავებელი მრეწველობის შემდგომი განვითარება ბევრად იქნება დამოკიდებული ქვეყნის მიერ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საინვესტიციო საქონლის წარმოების გაზრდის უნარზე. გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და გასაღების კონცენტრაციის დონე, რაც გადაიქცა დარგის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად, სერიოზულ გავლენას ახდენს ამა თუ იმ დარგში არა მარტო ფასწარმოქმნის პროცესზე, არამედ ამ დარგთა შორის მიღებული შემოსავლებისა და ფინანსური რესურსების (სახსრების) ხელახალი გადანაწილების სტრუქტურაზეც.

VI. 3. საგარეო ეკონომიკური ფაქტორის როლი თურქეთის გადამამუშავებელ მრეწველობაში

გადამამუშავებელ მრეწველობაში თანაბარი დონის კონცენტრაციის მქონე სექტორთა არსებობა იწვევს მათი სარგებლიანობის დონეებს შორის განსხვავებას. საერთო ჯამში, გადამამუშავებელი მრეწველობის სარგებლიანობის დონე 2000-2014 წლებში გაიზარდა 32%-დან 47%-მდე, ოლიგოპოლისტურ სექტორში – 53,5%-დან 68,2%-მდე, მონოპოლისტურში კი – 30,7%-დან 44,4%-მდე, ხოლო კონკურენციულ სექტორში კი – 28%-დან 39%-მდე. შენარჩუნებადი და ზრდადიც კი გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორების მიხედვით სარგებლიანობის დონეებს შორის მზარდი სხვაობა იმაზე მეტყველებს, რომ ჯერ-ჯერობით თურქეთში არასაკმარისად არის განვითარებული კონკურენცია. სარგებლიანობის დონის მიხედვით შესამჩნევი დიფერენციაცია არსებობს ყოველი სეგმენტის შიგნითაც.

არანაკლებმნიშვნელოვანია 2010-იან წლებში გადამამუშავებელ მრეწველობაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება, რაც მოიცავს მრეწველობის სეგმენტების კონცენტრაციის დონეების მიხედვით განსხვავებულ საგარეო-სავაჭრო ორიენტაციების შესახებ მონაცემებს. ასე მაგალითად, 2000 – 2014 წლების მონაცემთა ურთიერთშედარება გვიჩვენებს 1990-იანი წლების საგარეო ფაქტორის როლის მნიშვნელოვან ზრდას ყველა სეგმენტის კვლავწარმოების პროცესში. ამან ასახვა ჰპოვა დარგების საგარეო-სავაჭრო კვოტის 50%-ზე უფრო ზევით როგორც რაოდენობრივ ზრდაში, ისე საგარეო-სავაჭრო კვოტების საერთო ამაღლებაში: კონკურენტულ სეგმენტში – 2000 წლის 16,6%-დან 2014 წლის 55,8%-მდე, ოლიგოპოლისტურში – შესაბამისად 7,9%-დან 46,3%-მდე.

გამონაკლისს წარმოადგენს მონოპოლისტური სეგმენტი. მასში საგარეო-სავაჭრო კვოტა დაქვეითდა 69,6%-დან 53,4%-მდე, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო დარგების გადანაცვლებით საკონტროლო-საზომი დანადგარების წარმოებიდან მაღალი საგარეო-სავაჭრო კვოტის მქონე ოლიგოპოლისტურ სექტორში. მთლიანობაში მონოპოლისტურ სეგმენტში შემავალი ყველა დარგის საგარეო ბაზრებთან კავშირი გაიზარდა (მაგ., ხის დამამუშავებელ დარგებში 3%-დან 23%-მდე, ფეხსაცმლის წარმოებაში – 0-დან 44%-მდე, ავეჯის წარმოებაში – 5%-დან 30%მდე, სატრანსპორტო საშუალებების წარმოებაში 26%-დან 68%-მდე.

თურქეთისათვის, რომელმაც მიზნად დაისახა მისთვის პრინციპულად ახალი ექსპორტზე ორიენტირებული ტიპის განვითარება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მარტო გარე სამყაროსთან მრეწველობის ინტეგრირების საერთო

დონის ანალიზი, არამედ უპირატესად ექსპორტზე, იმპორტზე ან შიდა ბაზარზე ორიენტირებული დარგების ფუნქციონირების თავისებურებები. თუ განვიხილავთ გადამამუშავებელი მრეწველობის ქვედარგებს მათი უპირატესი სავაჭრო ორიენტაციისა და მათში შემოსავლიანობის დონის თვალსაზრისით, მაშინ გამოიხატება შემდეგი სურათი: 2000 წლიდან 2010 წლამდე შემოსავლიანობის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა იმ დარგებში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შიდა ბაზარზე. მეორე ადგილზე გავიდნენ საიმპორტო, მესამეზე კი საექსპორტო დარგები. მაგ., გადამამუშავებელ მრეწველობაში (10 და უფრო მეტი მუშაკის მქონე საწარმოებში) მოგების საშუალო ნორმამ 2005 წელს შეადგინა 32%, მაღალი საიმპორტო კვოტები მქქონე დარგებში–32,3%, ხოლო საექსპორტოში– 29,5%, 2014 წელს ამ მაჩვენებლებმა შეადგინეს შესაბამისად – 44%, 47,8% და 43,5%.

შემოსავლიანობის დონე გადამამუშავებელი მრეწველობის შიდა ბაზარზე ორიენტირებულ სექტორებში 2010-იანი წლების დასაწყისშიმერყეობდა 52-54%-ის ფარგლებში. შემოსავლიანობის ბევრად უფრო დაბალი დონე საექსპორტო დარგებში ნაწილობრივ დაკავშირებულია იმ ფაქტორებთან, რომ მათი ძირითადი ნაწილი შედის მონოპოლიზაციის შედარებით უფრო დაბალი დონის მქონე გადამამუშავებელი მრეწველობის სეგმენტში (ნავთობგადამამუშავებელი, მინისა და ფეხსაცმლის წარმოების გარდა). გარდა ამისა, იგი ნაწილობრივ გამოწვეულია საექსპორტო საწარმოთა სტიმულირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან.

მრეწველობის საგარეო ვაჭრობის ორიენტაციის მქონე სექტორების შემოსავლიანობის დონეებში შენარჩუნებული სხვაობა მოწმობს ერთის მხრივ, იმის შესახებ, რომ ღია ეკონომიკის პროცესმა ვერ მოიტანა (ყოველ შემთხვევაში 2000 -იან წლებში) კონკურენციის განვითარების მოსალოდნელი შედეგი გადამამუშავებელი მრეწველობის საქონლის ბაზრებზე, მეორეს მხრივ, იგი ხსნის ეკონომიკური განვითარების მიზნების თვალსაზრისით, არასასურველ ჩარევას შიდა ბაზარზე მომუშავე დარგების კერძო ინვესტირებაში. XXI საუკუნის I ათწლეულის სხვა მნიშვნელოვანი გამოვლინებაა მრეწველობაში კონცენტრაციის პროცესებზე აქტიური პრივატიზაციის ზეგავლენა, რომლის სრულყოფილი შეფასებაც საკმაოდ რთულია. მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ ჩვენ ადრეც ავღნიშნეთ, დარგში კონცენტრაციის დონე არაა დამოკიდებულია წარმოების უპირატესად სახელმწიფო ან კერძო ხასიათზე. კონცენტრაციის მაღალი დონე შეიმჩნევა მნიშვნელოვანი სახელმწიფო სექტორის მქონე დარგებშიც (მაგალითად, ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში, თამბაქოს წარმოებაში) და კერძო სექტორის მადომინირებელი როლის მქონე საწარმოებშიც (მინის, რეზინის, პოლიგრაფიული საწარმოები)..

VI. 4. საინვესტიციო ვითარება გადამამუშავებელ მრეწველობაში

XXI საუკუნის დასაწყისში გადამამუშავებელი მრეწველობიდან „სახელმწიფოს გასვლამ" გამოიწვია შემოსავლების განაწილებაში მსხვილი კომპანიების როლის ზრდა თამბაქოსა და ქიმიურ მრეწველობაში (კონცენტრაციის დონე გაიზარდა შესაბამისად, 49,2%-დან 61,3%მდე და 46,4%-დან 69,2%მდე) და აგრეთვე დარგების გადასვლა ოლიგოპოლისტურ სეგმენტში. იგივე შავ მეტალურგიაში, ცელულოზა-ქაღალდისა და სასმელების წარმოებაში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა კონკურენციის როლის ზრდა შესაბამის დარგებში და პირველი ორი დარგის გადასვლა ოლიგოპოლისტური და მონოპოლისტური სეგმენტიდან კონკურენციულ სეგმენტში გადასვლა, ხოლო სასმელების წარმოებისა კი ოლიგოპოლისტურიდან – მონოპოლისტურში. მართალია შავ მეტალურგიაში, ცელულოზა-ქაღალდისა და ღვინო-წყლის წარმოებაში სახელმწიფოს წილის დაქვეითება იყო ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მრეწველობის სხვა სექტორებში.

ამრიგად, XXI საუკუნის I ათწლეულში თურქეთის გადამამუშავებელი მრეწველობა ხასიათდებოდა კონცენტრაციის მაღალი დონით. ქვეყანაში განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა ვერ მოახდინეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ამ თავისებურებებზე, თუმცა ზოგიერთ ცვლილებას მაინც ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტრუქტურულ მახასიათებლებში 1990-იან წლების თურქეთის გადამამუშავებელ მრეწველობაში მიმდინარე ცვლილებებზე, წარმოადგენს სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის როლების გადანაწილება. გადამამუშავებელი მრეწველობა თურქეთის ეკონომიკის ერთ-ერთი სფეროა, სადაც სახელმწიფოს გავლენა ტრადიციულად იყო მძლავრი. გადამამუშავებელ მრეწველობაში სახელმწიფოს როლის დაქვეითებამ თავისი წარმოქმნის ნიშნები ექსპერტებს მიანიშნა ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან. მან შემდგომი განვითარება ჰპოვა 1990-იან წლებში.

გადამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულების შექმნაში სახელმწიფო სექტორის უმნიშვნელო წილი 2010 წლის 32%-დან დაეცა 2014 წლის 22,9%-მდე, მსხვილ საწარმოთა რაოდენობაში 7,4%-დან 4,5%-მდე, ხოლო დასაქმებაში – 25,6%-დან 15,7%-მდე. ამ პროცესების პარალელურად გადამამუშავებელ მრეწველობაში მიმდინარეობდა სახელმწიფო ინვესტიციების აბსოლუტური და შეფარდებითი მოცულობის შემცირება. ეკონომიკის საერთო ინვესტიციებში მათი ხვედრითი წილი (მუდმივ ფასებში) შემცირდა 2010 წლის 5,1%-დან 2014 წლის 2,5%-მდე. თუ გავითვალისწინებთ ცვლილებებს